შირაქი

SHIRAKI

10 000

გამოდის 1937 წლიდან

№41 (10 000)

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი ფასი: 60 თეთრი ყოველკვირეული გამოცემა 8-14 ნოემბერი 2021 წელი

10 000 ნომრით დაწერილი ისტორია

იდგა 1937 წელი. კომუნისტური ჟამის ყველაზე რთული პერიოდი. რეპრესიებისა და „ურჩი“, ხელისუფლებისათვის მიუღებელი ადამიანების დასჯის დრო. მწერლების გადასახლებასა და დახვრეტას მათი წიგნების საჯარო დაწვის ფაქტები სდევდა თან... ამ დროს რაიმე კარგის მოლოდინი არც არსებობდა ინტელიგენციაში.

სწორედ ამ წელს დაიბადა გაზეთი „ახალი შირაქი“. დედოფლისწყაროს პირველი ბეჭდური მედია. მასშტაბური რეპრესიების ეპოქაში დაბადებულმა გაზეთმა თავადაც ბევრ ქარტეხილს გაუძლო. აქ დასაქმებული ადამიანების ერთგულებისა და საქმისადმი სიყვარულის მაგალითებიც მრავლად აჩვენა...

გაზეთ „შირაქის“ ოჯახს მე 1996 წელს შევუერთდი. მასთან ერთად გადავიტანე 90-იანი წლების სიმძიმე, უშუქობა, გაზეთის პერიოდულობის იძულებითი დარღვევა, „ვარდების რევოლუცია“... 23 წლის ახალგაზრდამ ჟურნალისტური პრინციპების ერთგულებაც აქ ვისწავლე და ჩემი რესპოდენტებისაც. დღემდე მახსოვს პირველად „გაწნული“ სილის გემოც და შექებისაც... მას შემდეგ 25 წელი გავიდა. წლები მეც შემემატა და გაზეთსაც... ცვლილებები ტექნოლოგიური სიახლეების პირდაპირპროპორციულად გაზეთსაც შეეხო: შავ-თეთრი გაზეთი ფერადმა და თანამედროვე დიზაინმა შეცვალა, გაიზარდა მისი მოცულობაც და ოთხი გვერდიდან – რვა გვერდიანი გახდა, გაზეთის ბაზაზე ფუნქციონირებს საგამომცემლო სახლი, სადაც ხდება გაზეთის აწყობა და დაკაბადონება, ელექტრონული ვერსიის ადგილზე მომზადება, რაც წლების წინ წარმოუდგენელი იყო. ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით გაზეთი კიდევ უფრო მეტ სიახლეს გეგმავს... 1997 წელს გაზეთ „შირაქს“ დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა და მე-9000 ნომერიც გამოვიდა. მაშინ იუბილე მასშტაბურად აღნიშნა გაზეთმა. ახლა 2021 წელია. ჟამიანობის დრო უდგას მსოფლიოს. ჩვენი პატარა რედაქცია კვლავ ერთ მუშტად შეკრული დგას მოვლენების ეპიცენტრში და ცდილობს, საზოგადოებას მიაწოდოს გადამოწმებული ინფორმაცია, არ გადატვირთოს ისინი ნეგატიური ემოციებით და პესიმისტური განწყობა არ გაუმძაფროს, ამ დაძაბული პოლიტიკური ვითარებისას იყოს თავადაც დაბალანსებული და ასეთივე ინფორმაციის გავრცელების წყარო. ამ რთულ პერიოდში „შირაქს“ საიუბილეო მე-10 000 ნომრის გამოსვლა უწევს. ახლა ზეიმის დრო არ არის. ახალმა კორონავირუსმა ჩვენი უამრავი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. ყველა დაზაფრულია. ჩვენც გადავწყვიტეთ, პომპეზურობის გარეშე, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ გაზეთის იუბილე, გაზეთისა, რომელმაც 8 ათეული წლის მანძილზე ბევრ გამოწვევას გაუძლო, მაგრამ ბერმუხასავით კვლავ ძლიერად დგას და ცდილობს, შეინარჩუნოს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა ჟურნალისტური პრინციპების ერთგულების, სამშობლოსა და მშობლიური რაიონის სიყვარულის, ობიექტურობისა და აკადემიურობის ხარჯზე.

გილოცავთ საიუბილეო ნომრის გამოსვლას ყველას - მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებს, ჩვენს ერთგულ მკითხველს, ყველას, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის გაზეთ „შირაქის“ 80-წლიანი ისტორიის შექმნაში

ინგა შიოლაშვილი

გაზეთ „შირაქის“ მთავარი რედაქტორი

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ახალი შირაქი

Новый Ширакский

Суббота 11 იანვარი JANVAR 1947 წ. г.

ფასი Цена 15 კაპ. коп.

№ 4 (540)

Орган Цителцкаройского райкома К. П. (б) Гр. и райсовета депутатов трудящихся

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ საყოველთაო სახალხო კანდიდატად რეგისტრირებული ხალხთა ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

წინასაარჩევნო საოლქო თათბირი წითელწყაროში

8 იანვარს, საბჭოთა მორთულ „საქმიანთის“ მუშათა კლუბში ჩატარდა წითელწყაროს № 97 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირი, რომელზედაც ესწრებოდნენ ამ ოლქში ბატონობენტულ მშრომელთა წინასაარჩევნო კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლები.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გრ. ვარაქეამ.

...ომიდან გამარჯვებული გამოგვიდანა და დიდებისა ახალი სამრეწველო პროგრამა—ახალი სტალინური ხუთწლედი.

ამხანაგი სტალინის სსრ-ებზე ყველანი ფეხზე დგებიან და ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. სასულე ორკესტრი სსრ ყაენრის ჰიმნს ასრულებს.

დასასრულს, მოახსენებელა მოაწერდა თათბირის მონაწილეები ძმური დიდებრივ წინადადებას ...

რეგისტრაციაში გატარებულია

ამხ. ვასილეს ვასილის-ძე მირიანაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ოლქთაშორის № 98 ოლქის საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად დაარეგისტრირა ... — საქართველოს ... (ბ) წითელწყაროს რაიონის მდივანი, დაბადებული 1910 წელს.

28 მარტს საპარლამენტო არჩევნებია: მაჟორიტარები უკვე დეპუტატები არიან, ახლა ჯერ პარტიებსა და ბლოკებზეა. ვნახოთ, ვინ იქნება ხალხის რჩეული, ვინ გაამართლებს სასოწარკვეთილი ადამიანების იმედებს!

შირაქი

SHIRAKI

№ 9 (9.183) 13 მარტი, შაბათი, 2004 წელი.

გაზეთი გამოდის 1937 წლიდან

e-mail address: shiraki@hotmail.com

დედოფლისწყაროს რაიონის გაზეთი. ფასი 30 თეთრი

ეჯოი ღლე ქესაგლეჯეებთან

პრემიერი ქიზიყს ესტუმრა

შირაქი

SHIRAKI

გაზეთი გამოდის 1937 წლიდან

გსურთ, წაიკითხოთ ჩვენი გაზეთი ინტერნეტში? მოძებნეთ www.open.ge

ხალხური შემოქმედება

ეს არ მოხდება...

შირაქი

SHIRAKI

გაზეთი გამოდის 1937 წლიდან

გსურთ, წაიკითხოთ ჩვენი გაზეთი ინტერნეტში? მოძებნეთ www.open.ge

ყოველკვირეული გამოცემა

წყალი – მხოლოდ სასმელად!

საიუბილეო ნომრის გამოცემა მიულოცეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან მალხაზ მერაბიშვილთან და საკრებულოს წევრთან არსენა ბალაშვილთან ერთად გაზეთ „შირაქის“ რედაქციას ესტუმრა და თანამშრომლებს საიუბილეო - მე-10 000 ნომრის გამოსვლა მიულოცა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ისაუბრა გაზეთისა და საერთოდ, მედიის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ აკადემიური და განათლებული მედიასაშუალება სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტია. „მეათიათასე ნომრის გამოცემა არცთუ სახუმარო საქმე გახლავთ - „შირაქმა“ 84 წლის მანძილზე ბევრ სიძნელესა თუ გამოწვევას გაუძლო. 90-იანი წლების სიდუხჭირისა თუ შემდგომ წლებში არსებული ცენზურის პირობებში ბევრმა გაზეთმა არსებობა შეწყვიტა. საბედნიეროდ, ჩვენი რაიონის გაზეთში აღმოჩნდნენ პროფესიონალი და საქმის მოყვარული ადამიანები, რომლებმაც ბევრ სირთულეს გაუძლეს და გაზეთი გადაარჩინეს. მადლობა თქვენ ამისათვის. გარდა ამისა, გაზეთის დიდი და საინტერესო არქივი ინახავს ჩვენი რაიონის შესახებ უმდიდრეს საინფორმაციო და ფოტო მასალას. გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და გისურვებთ წარმატებებს, მუდმივ, საინტერესო სიახლეებს და თქვენი ერთგული მკითხველის სიმრავლეს.“-განაცხადა დედოფლისწყაროს მერმა გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლებთან სტუმრობისას.

დედოფლისწყაროს მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ „შირაქი“ მისი ბავშვობის გაზეთია, და როგორც ბევრ დედოფლისწყაროელს, მასაც საკუთარი ისტორია აკავშირებს ამ გაზეთთან. მან „შირაქის“ თანამშრომლებს ნაყოფიერი პროფესიული მოღვაწეობა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

სტუმრებმა გაზეთის თანამშრომლებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

C M Y K

ფრონტერასთან დავა გრძელდება

დედოფლისწყაროს ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე ?!

„Frontera-ს მიერ ნავთობის დაღვრის ასაცილებლად, ნავთობი გადაგვაქვს“ - აცხადებს ნავთობისა და გაზის სააგენტო. ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ უფროსის გიორგი ტატიშვილის განცხადებით, ნავთობის დაღვრის რისკის გამო, მათ კომპანია Frontera-ს კუთვნილი ნავთობის რეზერვუარიდან ნედლი ნავთობის ტრანსპორტირების პროცესი დაიწყეს.

ტატიშვილის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე მირზაანის ნავთობის საბადოზე მდებარე ჭაბურღილებიდან მოპოვებული ნავთობი გროვდება მირზანიის ნავთობის შემკრებ პუნქტში განლაგებულ მცირე მოცულობის რეზერვუარებში, არსებული მდგომარეობით რეზერვუარები გადავსებულია და არსებობს დაღვრის და ეკოლოგიური კატასტროფის რეალური საფრთხე. მისი თქმით, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების რისკების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ კანონმდებლობასთას შესაბამისობით დაიწყო მირზანიის შემკრები პუნქტიდან დედოფლისწყაროს დიდი მოცულობის მქონე რეზერვუარებით დაკომპლექტებულ შემკრებ პუნქტში ნავთობის გადატანის და დასაწყობების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს აღსრულების ეროვნული ბიუროს და მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლების თანდასწრებით. ამასთანავე, ტატიშვილი აცხადებს, რომ ზაზა მამულაიშვილი, რომელიც “ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას” დირექტორია, არაუფლებამოსილი პირია ისაუბროს კომპანიის სახელით.

„გვსურს ხაზი გავუსვათ რამდენიმე გარემოებას: კომპანია „ფრონტერას“ ყოფილი მენეჯერს ზაზა მამულაიშვილს შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი უფლებამოსილება წარმოადგენდეს კომპანია „ფრონტერას“ ან ისაუბროს მისი სახელით, ამავე დროს ტეხასის სასამართლოს (281st Judicial District Court of Harris County, Texas, USA) მიერ გამოცემულია შემეზღუდავი ორდერი, რომელიც უკრძალავს ბატონ მამულაიშვილს და მასთან აფილირებულებს განახორციელოს ნებისმიერი ოპერაცია “ფრონტერას” სახელით. ამასვე ადასტურებს აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია „ფრონტერას“ სათაო ოფისის მიერ გაკეთებული განცხადებებიც. საქართველოში „ფრონტერა“ ყოფილი მენეჯმენტის მიერ არაერთჯერადი, არაკეთილსინდისიერი და უპასუხისმგებლო მოქმედებების თუ უმოქმედოების და მის მიერ მიტოვებული ჭაბურღილებიდან ნავთობის დაღვრის შედეგად საკონტრაქტო ფართობზე დაზიანდა სახელმწიფო ქონება, მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა, დაირღვა გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები. დღეის მდგომარეობით არსებული გარემოსდაცვითი ზიანი აღემატება 500 000 ლარს,“ - განაცხადა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა. თავად ზაზა მამულაიშვილი კი ამ განცხადებას უარყოფს. ის ამბობს, რომ რჩება “ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას” გენერალურ დირექტორად, რისი საჯარო რეესტრში გადამოწმებაც ნებისმიერ პირს შეუძლია. მამულაიშვილის თქმით, “ნავთობისა და გაზის სააგენტოს” უფროსმა არ ისაუბრა მთავარზე - თუ რის გამო შეიქმნა ვითარება, რომ კომპანიის ნავთობის რეზერვუარები გაივსო. საქმე იმაშია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რასაც კომპანია კატეგორიულად არ ეთანხმება,

„ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ნავთობის რეალიზაციის უფლება შეეზღუდა, რის გამოც კახეთში მოპოვებული ნავთობი რეზერვუარებში დაგროვდა. ამ ნავთობის მოცულობა 10,000 ბარელს შეადგენს. „ჩვენ რაღაც პერიოდის წინ, ნავთობისა და გაზის კორპორაციამ და ეკონომიკის სამინისტრომ სრულიად უკანონოდ აგვიკრძალეს ნავთობის რეალიზაცია. სასამართლოში გავასაჩივრეთ და იქ არის ახლა პროცესი. ამის გამო, რომ სასამართლოშია ეს საქმე და ვერ ვყიდით ნავთობს, რეზერვუარები აივსო. რადგან გადაივსო ეს რეზერვუარები, მივმართეთ აღსრულების ბიუროს და განვუმარტეთ, რომ გაივსო ეს რეზერვუარები და თუ არ გადავიტანეთ სხვა რეზერვუარებში, შეიძლება მოხდეს დაღვრა. აღმასრულებელმა, რომელმაც ნავთობისა და გაზის კორპორაცია დანიშნა შემნახველად, მოიყვანა ისინი, რათა გადაიტანონ ერთი რეზერვუარიდან მეორეში,”- ამბობს ზაზა მამულაიშვილი.

გიორგი ტატიშვილის მიერ ნავთობის დაღვრის შესახებ გაკეთებულ განცხადებას ასევე პასუხობს ზაზა მამულაიშვილი, რომელიც ამბობს, რომ ჭაბურღული, რომლიდანაც ნავთობის დაღვრა მოხდა, მდებარეობს იმ არეალში, რომელიც Frontera-მ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად სახელმწიფოს გადასცა, შესაბამისად ამჯამად მასზე პასუხისმგებელი სწორედ ნავთობისა და გაზის სააგენტოა. “ის ტერიტორია, რომელიც დაუბრუნდა სახელმწიფოს, იმ ტერიტორიაზეა ეს ჭაბურღილი, საიდანაც იღვრება ნავთობი და ჩვენ საჯაროდაც გავაკეთეთ განცხადება ადრე, რომ ეს ნავთობი რადგან იღვრება, ჩვენ გვაქვს ამის გამოცდილება და კაპიტალიც, რომ მოგეხმაროთ და გავწმინდოთ, მაგრამ უარი თქვეს ამაზე და ახლა ჩვენ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთანაც გვქონდა შეხვედრები, რომ მათზე ზეწოლა მოგვეხდინა, რომ რაიმე მოემოქმედებინათ,”- ამბობს მამულაიშვილი.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

პარლამენტმა ქარსაფარი ზოლის შესახებ სპეციალური კანონი მიიღო

პარლამენტმა ქარსაფარი ზოლის შესახებ სპეციალური კანონი მიიღო. კანონის პროექტი, რომლითაც ქარსაფარი ზოლის აღდგენასთან, გაშენებასთან, მოვლასთან და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება, მესამე მოსმენით, 84 ხმით დაამტკიცეს. ამასთან, ქარსაფარი ზოლის დაზიანებისთვის ადმინისტრაციული სანქციები და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შემოდის.

პროექტში მოცემულია ქარსაფარი ზოლის აღდგენა-გაშენების ზოგად დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, მუნიციპალიტეტები დაყოფილია კატეგორიებად, ქარის სიძლიერის მიხედვით. დადგენილია ქარსაფარი ზოლის მოვლისა და დაცვის ზოგადი სტანდარტი. განსაზღვრულია ქარსაფარი ზოლის არაფუნქციური გამოყენების პირობები. მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილისათვის ქარსაფარი ზოლის სტატუსის მინიჭებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო, რომელიც გადაწყვეტილებებს სპეციალური მოკვლევისა და ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად მიიღებს. **„1990-იანი წლებიდან, ენერგეტიკული კრიზისის გამო, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ თითქმის მთლიანად გაიჩეხა. ქარსაფარ ზოლებში ხეების მოჭრა საშუშედ დღემდე გრძელდება. ქვეყნის მასშტაბით გაჩეხილია ქარსაფარი ზოლების დაახლოებით 90%, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებასა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. ქარსაფარი ზოლების გაჩეხვის გამო მნიშვნელოვნად გაძლიერდა ნიადაგის ქარისმიერი ეროზია. დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც საფრთხეს უქმნის ქარსაფარ ზოლებს, არის მოსავლის ნარჩენების დაწვის პრაქტიკა, რაც, თავის მხრივ, იწვევს ხანძრებს და ქარსაფარი ზოლების გადაწვას. 2015 წლის აგვისტოსა და ივლისში გავრცელებული ხანძრების შედეგად საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში (კახეთი, შირაქი) გადაიწვა სახნავ-სათესი მიწების 80%, მათ შორის, ქარსაფარი ზოლები. დაიწვა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დამხარებით აღდგენილი ქარსაფარი ზოლის დიდი ნაწილი, დაახლოებით 60 კილომეტრზე გაშენებული ახალი ქარსაფარი. აღმოსავლეთ საქართველოში სახნავი მიწების 20%-ზე მეტი, დაახლოებით 110 ათასი ჰექტარი, ქარისმიერი ეროზიისგან არის დეგრადირებული. ბოლო 50 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ძლიერი ქარების, ასევე გვალვების ინტენსივობა. მომავალში კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე ეს პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდება“**, - ნათქვამია პროექტის განმარტებით ბარათში.

პროექტის ავტორი და ინიციატორები არიან დეპუტატები: - ნინო წილოსანი, ალექსანდრე მოწერელია, სამველ მანუკიან, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ზაალ დუგლაძე, შალვა კერესელიძე, გოდერძი ჩანქსელიანი და ხატია წილოსანი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კლიმატური ცვლილებების სამიტზე სიტყვით გამოვიდა

„ულამაზესი მთების, მყინვარწვერებისა და მდინარეების მქონე კავკასიამ მყინვარების 40 % უკვე დაკარგა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, დანაკარგების ტემპი აღმოსავლეთ საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლოს გაკეთებულ პროგნოზს გასცდა, სრულად ვიზიარებთ იმ განგაშს, რომელიც კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორის საბჭოზე წარმოდგენილ უახლეს ანგარიშშია ასახული“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, გაერო-ს 2021 წლის კლიმატის ცვლილების კონფერენციის ფარგლებში, მსოფლიო ლიდერების სამიტზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, მეტი ამბიცია და ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ პარიზის შეთანხმებაში განსაზღვრული ტემპერატურის გრძელვადიანი მიზნები დაკმაყოფილდეს და გლობალური კატასტროფა თავიდან იქნას აცილებული. პრემიერ-მინისტრმა გაერთიანებულ სამეფოს კორონავირუსით გამოწვეული პანდემიიდან მომდინარე გამოწვევების ფონზე სამიტის ორგანიზებისთვის მადლობა გადაუხადა და ისაუბრა ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობაზე, რომელიც აუცილებელია კლიმატის ცვლილებებით შექმნილ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობას მკაფიო და ნათელი ხედვით აქვს შემუშავებული განვითარების გეგმა 2030 წლისთვის, რომელიც იდეალურად შეესატყვისება გაერო-ს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ინვესტიციები სუფთა ენერგიაში, კლიმატზე მორგებული სოფლის მეურნეობა და მეტად ადაპტირებული შესაძლებლობები ის კონკრეტული ნაბიჯებია, რაც შეამცირებს ემისიას და ჩვენს საზოგადოებებს მოამზადებს კლიმატის ცვლილების გარდაუვალი გავლენისთვის. **„მომავალ თაობას ჩვენი იმედი აქვს და ჩვენ დანაპირები უნდა შევუსრულოთ“,** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გამარჯვებული გამოვლენილია

დასრულდა კენჭისყრა და გამარჯვებული 2 პროექტი გამოვლინდა. სულ შემოვიდა 1354 ხმა, ხმების 20.5% მიიღო სოფელ ზემო ქედში სპორტული სივრცის მოწყობამ, ხოლო ხმების 20.2% სოფელ არბოშიკშის პროექტმა, რომელიც სპორტული ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაციას და ეზოში სკვერის მოწყობას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ვულოცავთ იდეის ავტორებსა და მხარდამჭერებს გამარჯვებას.

კენჭისყრის შედეგად მესამე ადგილზე კი სოფელ სამრეკლოში სკვერის მოწყობა გავიდა 18.8%-ით, მეოთხე ადგილზე 14.8%-ით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის დაზიანებული სახურავის შეცვლა და ღია რეკრეაციული ეზოს გადახურვა გავიდა. მეხუთე ადგილას კი 8.3%-ით სამუსიკო სკოლის ზემო ქედის განყოფილების რეაბილიტაცია.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროექტი „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება. პროექტის მიზანია, მოქალაქეების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროს 2022 წლის ბიუჯეტში 100 000 ლარია გათვალისწინებული და ამ თანხით მოქალაქეთა 2 ინიციატივა დაფინანსდა, რომელიც მოსახლეობამ კენჭისყრის შედეგად შეარჩია. დედოფლისწყაროში რეგისტრირებულ 18 წლის ასაკიდან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო 30 აგვისტომდე საპროექტო წინადადება წარედგინა მერიისთვის, თუ რის გაკეთება სურდა მის დასახლებაში. სულ 41 საპროექტო წინადადება დარეგისტრირდა.

რას ნიშნავს ჩემთვის „შირაქი“?

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ჩვენთვის მეორე სახლია, ოჯახია, სადაც ურთიერთგაგებისა და პატივისცემის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია, საერთო საქმის კეთება კი შეუძლებელი. ჩვენ გადავწყვიტეთ, ერთი შეკითხვისათვის გვეპასუხა ყველას: მოქმედ თანამშრომლებს, იმ გუნდის წევრებს, ვისაც მკითხველი ვერ ხედავს, მაგრამ ყოველ ორშაბათს ელის მათ მიერ შექმნილ პროდუქტს; ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა დროს იყვნენ ამ გუნდის ნაწილი და კარგად იციან გაზეთის შიდა სამზარეულო.

ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი, **გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი:** „რა არის ჩემთვის გაზეთი „შირაქი“? უპირველესად ვთქვათ, რა არის ეს გაზეთი ზოგადად - ის ჩვენი რაიონის უწყვეტი ისტორიაა 1937 წლიდან დავანებული, წიგნებად შეკერილ, გაყვითლებულ ფურცლებზე, სადაც ნათლად იკითხება მთავრობის კურსი და მიმართულება, საზოგადოების აზრი მიმდინარე მოვლენებზე, ავი და კარგი ადამიანების ცხოვრების წესისას, წარმატებები და ნაკლოვანებები, საქებარის ქება და საკრიტიკებელი კრიტიკა, ხანდაზმულთა გამოცდილება და მომავალი თაობის ოცნებები, ის მედიატორია საზოგადოებასა და მთავრობას შორის და ამიტომაც ჰქვია მედია.

რა არის ის ჩემთვის? ის ჩემთანაა რაც თავი მახსოვს. ის ჩემი ბავშვობიდან მოდის, როდესაც სოფელ გამარჯვებაში ერთი ჩვეულებრივი კოლმეურნის ოჯახში რესპუბლიკურ გაზეთებთან ერთად კვირაში სამჯერ შემოდიოდა და მთელი რაიონის ცხოვრებას ხელის გულზე გვიდებდა. ვიცოდით რაც ხდებოდა საბათლოდან ზემო მაჩხაანამდე. რა ხდებოდა მინდვრებში, ფერმებში, სკოლებში, ბაღებში, ამბულატორიებში, ბიბლიოთეკებში, ვინ რა დააშავა, ვინ რა გააკეთა, ვიცოდით მათი გვარ-სახელები, ვინც მართავდა რაიონს, ვეცნობოდით მათ მოხსენებებს, ბიუროს სხდომასა თუ სესიებზე და ა.შ.

გაზეთი ჩვენ გვზრდიდა, გვანვითარებდა და ცხოვრებას გვასწავლიდა. მერე იყო დროებითი განშორება სტუდენტობის და მარნეულის რაიონის სოფელ არაფლოში სამწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს. 1971 წლის 28 ივლისიდან დღემდე კი, 50 წლის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთს წუთითაც აღარ დავშორებივართ. მასთან არის დაკავშირებული ჩემი ნახევარსაუკუნოვანი უამრავი მოგონება, ტკბილიც და მწარეც. ის ჩემთვის თინა ფავლენიშვილია თავისი დიდი გულითა და ამოუწურავი სიყვარულით, თინა ფავლენიშვილის უწმაწურ ანეგდოტებზე ყურებამდე გაწითლებული ჩვენი ბუღალტერი ლეილა ჯინაშვილია, იარაღდაკარგული (კალამს ვპარავდით) გაწიწმატებული მაყვალა ალუღიშვილია, დინჯი და გაწონასწორებული „ცოცხალი ენციკლოპედია“ შოთა ბიკაშვილია, სულ მუდამ დიდაქტიკური ტონით მოსაუბრე განუმეორებელი რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილია, ბობოქარი ჯემალ მეხრიშვილი და სხვები და სხვები, რომლებიც მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ საკუთარ ინდივიდუალურ კვალს ტოვებდნენ გაზეთის ფურცლებზე. ის ჩემი უამრავი რეპორტაჟის თუ ნარკვევის გმირია, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემზე და ბევრი რამ მასწავლეს, უამრავი ლამაზი იუბილის, კონცერტის, შეხვედრის, საზეიმო საღამოს გახსენებაა, ბევრი ხსოვნის, მონატრების თუ გამოსათხოვარის, მოზღვავებული გრძნობისა თუ ტკივილის ამოთქმაა, ტკბილი მოგონებაა სამოცი წლის იუბილის და მეცხრაათასე ნომრის გამოშვებაზე, რა დრო გასულა...

ის დღევანდელი ჩემი კოლექტივია ახალგაზრდებითა და ძველგაზრდებით, გამოცდილებითა და სიახლეებით სავსე, ჩემი სიყვარულია იმ კედლებისა, რომელთა შენარჩუნებისთვის ათეული წლები თავდაუზოგავად ვიბრძოდი, გაუსაძლისი 90-იანი წლებია, დიზელის საწვავის სუნითა და ჭვარტლით გაჯერებულ ერთ ოთახში თავმოყრილები, რედაქციის ყველა თანამშრომელი, ერთმანეთის მხარდამხარ, ერთ მუშტად შეკრული, გაზეთის გადარჩენისათვის რომ ვიბრძოდით. ის ჩემი მეუღლის, გოგი პოპიაშვილის ერთგულებაა ამ ბრძოლის მოსაგებად, ის ჩემი ვაჟის ზურაბ პოპიაშვილის იდაყვებამდე გალურჯებული ხელებია გაუთბობელ საამქროში გაზეთს რომ ბეჭდავდა, რადგან დიდი მცდელობის მიუხედავად, სტამბას არცერთი ძველი თანამშრომელი აღარ შემორჩა. ძირითადი ნაწილი რუსები იყვნენ და დამოუკიდებელი საქართველოდან წავიდნენ, თავიანთ თვალუწვდენელ სამშობლოში მიმოიფანტნენ. ის ჩემი ქალიშვილის მაგდა პოპიაშვილის პროფესიული არჩევანის წყაროა. ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ იგი ჩემი და ჩემი ოჯახის განუყოფელი ნაწილია, ჩემი სული და გულია, ამიტომაც ვერ ველევი, ვერ ვღალატობ. მე უიმისოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია და ბედნიერი ვარ, რომ დღეს აღარც გვცივა (გათბობა გვაქვს), აღარც გვცხელა (კონდიციონერი მუშაობს), თანამედროვე ტექნოლოგიებით შეიარაღებული ფეხზე მყარად ვდგავართ და ჩვენს ერთგულ მკითხველს ჩვენც ერთგულად ვემსახურებით. მიხარია, რომ ამ ყველაფერს დღეს სათავეში ჩემი გამოზრდილი, ჩვენს გვერდით გამობრძმედილი და გამოცდილი ახალგაზრდა უდგას და ღირსეულადაც. უნაკლო არავინაა და, ალბათ, არც ჩვენ. ამიტომ, მოგვწერეთ, დაგვირეკეთ, როგორი გინდათ, რომ იყოს გაზეთი, რომელიც დღეს მე-10,000 ნომერს ითვლის და გაზეთი, რომელიც 84 წელია უწყვეტად გამოდის, აქედან 50 წელი მეც მისი ნაწილი ვარ. მე ის მიყვარს, როგორც თანამებრძოლი და მჯერა, ის კიდევ დიდხანს იდგმება ხალხის სამსახურში, რადგან უზარმაზარი ტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, ბეჭდვურ მედიას ალტერნატივა არ აქვს. გილოცავ ჩემო გაზეთო, გილოცავ ჩემო თანამშრომლებო და ჩემო ძვირფასო მკითხველებო!

ხათუნა ბენაშვილი, **კორექტორი:** „გაზეთი „შირაქი“ ტრადიციული, კლასიკური გაგებით წარმოადგენს დირექტორის, რედაქტორის, კორესპონდენტების, ადმინისტრაციის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ყოველკვირეულ პერიოდულ გამოცემას. ყოველდღიური მოვლენების, დასკვნების და მოქმედებებს შორის უნდა გავარჩიოთ, რომელი მათგანი იმსახურებს ახალ ამბებში მოხვედრას - ეს უნდა იყოს საინტერესო, მნიშვნელოვანი და მედიაში გამოსაქვეყნებლად შესაფერისი შინაარსის მასალა. გაზეთი ,,შირაქი“ მკითხველს აწვდის საჭირო ინფორმაციას და უჩენს მას მოვლენებში მონაწილეობის განცდას, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი თანამშრომლისთვის, დიდი გამოწვევა იყო რედაქციაში მოხვედრა. ახალი პროფესია, რომელშიც სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი. ჩემთვის იმდენად ბუნებრივი და ორგანული აღმოჩნდა ხალხთან კომუნიკაცია და ურთიერთობა, რომ მივხვდი ეს იყო ის, რისი კეთებითაც თავს ბედნიერად და კომფორტულად ვიგრძნობდი და რაც მნიშვნელოვანია, ეს იყო სფერო, რომელიც ჩემგან მუდმივ ზრდას და განვითარებას მოითხოვდა. სწორედ ამიტომ იყო საინტერესო ახალი საქმე, ახალი შესაძლებლობები და გარკვეულ წილად სუფთა ფურცლიდან დაწყებული თვითრეალიზება. შორიდან შეიძლება იოლი ჩანდეს ეს სამუშაო, მაგრამ როდესაც ახლოს მიხვალ საქმესთან, მიხვდები როგორი საპასუხისმგებლო მისიაა. გაზეთის რედაქციაში მუშაობა რთული და საინტერესო საქმეა,... მუდამ მოვლენების ცენტრში და მზადყოფნაში უნდა იყო. გგონია დამთავრდა მუშაობა და შეიძლება ისეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდე, რომ გვიანობამდე რედაქციიდან ვერ გამოხვიდე. საბედნიეროდ, მე დამხვდა პროფესიონალთა გუნდი, თბილი და მეგობრული გარემო, რამაც გამიადვილა ადაპტირება და მომცა იმედი, რომ შევძლებდი ვყოფილიყავი ამ გუნდის ღირსეული წევრი. ამისთვის დიდი მადლობა თითოეულ მათგანს.

ჩემს „შირაქელებს“ ვულოცავ მე-10000 ნომრის იუბილეს. ვუსურვებ, კვლავ ასეთი შემართებით და მონდომებით ემსახურონ საყვარელ საქმეს მრავალი წლის მანძილზე.“

ჟუჟუნა ყანჩაშვილი, **კორესპონდენტი:** „გაზეთ „შირაქს“ არც ისე დიდი ხანია რაც შევუერთდი, სულ რაღაც სამი

წელია რაც აქ ვმუშაობ. მაგრამ, მგონია, რომ ის ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად უკვე დიდი ხანია იქცა. უნივერსიტეტში, ჟურნალისტიკის მიმართულებაზე სწავლის მესამე კურსიდან უკვე მივხვდი, რომ ჩემს ადგილს ბეჭდურს მედიაში ვიპოვნიდი. ერთ-ერთ რეგიონულ ჟურნალზე მუშაობისას მივხვდი, რომ ეს მიმართულება ძალიან მომწონდა და გამიჩნდა სურვილი, რომ ახლოდან გავცნობოდი მას. ისიც ვთქვი, რომ თუკი საშუალება მომეცემოდა, რეგიონულ მედიაში აუცილებლად ვიმუშავებდი. ჩემთვის რეგიონული მედია სულ სხვა სპეციფიკით გამოირჩევა და სხვანაირად უგდებს ყურს საკუთარ მოსახლეობას.

სულ ცოტა ხანში, როდესაც გაზეთმა „შირაქმა“ ვაკანსია გამოაცხადა, ვიფიქრე, რატომაც არა, ეს ხომ ისაა, რაზეც ვსაუბრობდი და ვფიქრობდი-მეთქი. ასე აღმოვჩნდი გასაუბრებიდან და გამოსაცდელი ვადიდან, ოფიციალურ კორესპონდენტის ადგილზე. რა არის ჩემთვის გაზეთი „შირაქი“? თითქოს ამ კითხვაზე მარტივია პასუხის გაცემა, მაგრამ რამდენადაც მარტივია ის, იმდენადვე რთულია ყველა გრძნობის დეტალურად გადმოცემა. ის ჩემთვის კარიერის დასაწყისია, ახალი გამოცდილების შეძენის, ინტერესების აღმოჩენისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის პლატფორმა, რომელმაც საკუთარი თავის სხვადასხვა კუთხიდან დანახვის საშუალება მომცა. „შირაქი“ ის ადამიანებია, რომლებმაც დამანახეს, რომ შეცდომების მიუხედავად აუცილებლად იპოვნი გამოსწორების გზას, მთავარია შრომა, მიღებული შედეგები და ის ენერგია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გაზეთის შექმნაში დებს, რაც არც ისე მარტივი საქმეა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სწორედ უშრეტი ენერგია, ხშირად ყველაფრის ახლიდან დაწყების ურყევი ნება და ჩვენს მთავარ შემფასებლამდე - მკითხველამდე ინფორმაციის მიტანის ვალდებულების პირნათლად შესრულებაა ის, რაც „შირაქს“ განსაკუთრებულს ხდის. ჩემთვის გაზეთი „შირაქი“ თავისი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე გუნდით ის მასწავლებელია, რომელიც ყოველდღე გარკვეული სიახლით შემოდის ჩემს ცხოვრებაში და ყოველდღე ახალ ახალ გაკვეთილებს მასწავლის. უკან მოტოვებული 84 წლიანი ისტორია, საკუთარი საქმის სიყვარულით ავსილი უამრავი პროფესიონალი და თითოეულ გვერდში ჩადებული უდიდესი შრომა - ესაა ჩემთვის „შირაქი“. მადლობა გაზეთს, მადლობა გუნდს და მთავარი მადლობა მკითხველს, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში ერთგულად გვიდგას გვერდით. მე-10,000 ნომრის გამოცემა იმის მანიშნებელია, რომ ჩვენ ერთმანეთის მაჯისცემაზე გვიდევს ხელი და ვგრძნობთ ერთმანეთის პულსს! ვულოცავ ყველას ამ მნიშვნელოვან თარიღს, მსურს, კიდევ მრავალი წელი ემსახუროს ჩვენი გაზეთი ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებას და ამავდროულად, მისი მხრიდანვე გრძნობდეს თანადგომასა და მხარდაჭერას!“

ელზა ხარაშვილი, **სტილისტ-მენეჯერი:** „რას ნიშნავს ჩემთვის გაზეთი? 2013 წლის 1 მაისს, ექვსწლიანი პაუზის მერე, კვლავ დავიწყე მუშაობა, ამჯერად გაზეთ „შირაქში“, სადაც ძალიან თბილი და კოლეგიალური კოლექტივი დამხვდა. ვერ ვიტყვი, რომ პროფესიულად აქ ძალიან განსხვავებული საქმე უნდა მეკეთებინა, რომელიც მანამდე არ მიკეთებია, მაგრამ ბევრი რამის სწავლა კი თავიდან მომიწია. პირველ რიგში, ვისწავლე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ჩემი თანამოქალაქეების წინაშე, რომელიც მანამდეც გამაჩნდა, მაგრამ აქ უკვე სულ სხვა ხარისხში ავიდა. გრძნობ, რომ შენი თითოეული ნათქვამი სიტყვა სულ სხვა სიმართლის საზომით იზომება და ტყუილის თქმას ვერც იკადრებ და არც უნდა გაიფიქრო. ბეჭდვითმა მედიამ მომცა საშუალება, გამეშუქებინა სასურველი თემები და ის საზოგადოებამდე საინტერესო სახით მიმეწოდებინა. პირად ვალდებულებად მიმაჩნია, რომ რასაც დავწერ, თითოეული სიტყვა ობიექტურ სინამდვილეს უნდა ემსახურებოდეს. ირგვლივ იმდენი ამბავი და ნეგატივია, იმდენი ვერსიაა, ადამიანს უკვე უჭირს გარკვევა და ყველაფრის მიმართ ინერტული ხდება. ჩვენ პროპაგანდის პრიზმაში გვაწვდიან ინფორმაციას და ზოგჯერ ვეღარ გაგვიგია, რომელია სიმართლე და რომელი სიცრუე.

/გაგრძელება გვ.4/

რას ნიშნავს ჩემთვის „შირაქი“?

/დასაწყისი გვ.3/

ინტუიციის დონეზე გრძნობ, რომ მთლად ისე არ არის, რასაც ხედავ. ამას ვუკავშირებ ზუსტადაც, რომ ჩვენ ისე ველარ ვადევნებთ თვალყურს ყველა კულტურულ მოვლენას და გვგონია, რომ კარგ ფილმებს აღარ იღებენ, კარგი ნაწარმოებები აღარ იწერება, მაგრამ შეუძლებელია, რომ კარგი ამბები არ ხდებოდეს, უბრალოდ მას უნდა ჩაეჭიდო და დაინახო, აღქმის უნარი არ უნდა დაკარგო, რაც არ უნდა ნეგატიურ გარემოში გინევდეს ცხოვრება. ამიტომაც, მაქსიმალურად ვცდილობ, ყოველთვის პოზიტიურად მივაწოდო მკითხველს თუნდაც ერთი აბზაცი, ვიდრე სამგვერდიანი არაფრისმომცემი მასალა. აქვე, შემიძლია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ რვა წლის განმავლობაში ყოველთვის მქონდა საშუალება, ჩემი აზრი მკითხველამდე ყოველგვარი ცენზურის გარეშე მიმეტანა, კრიტიკული მასალის გაშუქებისას პირადად არასდროს შემქმნია პრობლემა, რაც, ვფიქრობ, დიდწილად ჩვენი ხელმძღვანელის - ინგა შიოლაშვილის პირადი დამსახურებაა. იგი არის ისეთი უფროსი, რომლის პირობებში სამსახურში უბრალოდ მოგიხარია. დიდი მადლობა თითოეულ თანამშრომელს იმ ღვაწლისთვის, რამაც მე-10000 ნომერი დღემდე ღირსეულად მოიტანა.

მზია ქენქაძე, **საქმის მწარმოებელი:**

„გაზეთი ჩემთვის სულიერი განვითარების გზაა, სულიერი არსებობის წყარო, რომლითაც 80-იანი წლებიდან ვსაზრდოობ. უკვე მრავალი წელია, რაც გაზეთს და ჩემს საყვარელ რაიონის მოსახლეობას ვემსახურები და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს უკვე ჩემო ცხოვრების წესადაც კი მექცა. მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელობას, რომ მე ეს ბედნიერება დღემდე მაქვს და მეძლევა საშუალება ჩვენი რაიონის და არამარტო, ამბებით დახუნძლული გაზეთი მივაწოდო ჩემს ხელმომწერებს, რომლებიც ყოველ ორშაბათს მოუთმენლად მელოდებიან“.

ნიაზი ჯანაშვილი, **ოფის-მენეჯერი:**

„გაზეთი ჩემთვის არის როგორც ინფორმაციის წყარო, ასევე ეკონომიური საზრდოც. მაგრამ, გარდა ამისა, ის არის გუნდი და მკითხველი, ერთიანი ორგანიზმი, რომლითაც ჩვენ დღემდე მოვდივართ. მყავს მკითხველები, რომლებიც ყოველ ორშაბათს მოუთმენლად ელოდებიან გაზეთის გამოსვლას. მკითხველი ჩვენი მთავარი შემფასებელია. მადლობელი ვარ როგორც რაიონის, ასევე გაზეთის ხელმძღვანელობის, რომ ყოველ ორშაბათს მკითხველამდე ინფორმაციის მიტანის საშუალება მაქვს. “

ნათელა ბოსტაშვილი, **ბუღალტერი:** „გაზეთი „შირაქი“ არის ჩემთვის მეორე

ოჯახი, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი აქ გავატარე 40 წელი, მივიღე ცხოვრების დიდი გამოცდილება, ბევრი რამ ვისწავლე, როგორი უნდა იყოს ადამიანი, როგორ უნდა იცხოვრო სწორად, გიყვარდეს ადამიანები და შეძლო შეცდომების პატიება. მქონდა ბედნიერება მემუშავა წინა თაობის თანამშრომლებთან, რომლებიც ჩემთვის ცხოვრების გაკვეთილები იყვნენ, მოვიდნენ ჩვენი ახალგაზრდა თაობა, რომლებმაც სიხალისე, სიახლეები და სიყვარული შემოიტანეს (ისინი ჩვენი შვილები არიან) ჩვენი გაზეთის ცხოვრებაში. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება ვიყო გაზეთ „შირაქის“ ცხოვრების ნაწილი.

გვილოცავენ!

მაკა სულაშვილი, **მერიის პრესსამსახურის უფროსი:** „რა არის ჩემთვის „შირაქი“?-„შირაქი“ იმ გზის დასაწყია, რომლის ბილიკებსაც მთელი ცხოვრება მივყვები და გადახვევის სურვილი არასოდეს გამჩენია. „შირაქი“ ჩემთვის პირველი ნაბიჯებია ჟურნალისტიკაში-პირველი სტატია, პირველი ინტერვიუ... 10-11 წლის გოგოსთვის ეს ძალიან დიდი სკოლა და ამავე დროს დიდი პატივი იყო.

შემდეგ იყო უნივერსიტეტის მეექვსე კორპუსი და ყველა ჟურნალისტისთვის ნაცნობი თავბრუდამხვევი რიტმი. მშობლიური „შირაქის“ გარეშე კი არა და ვერაფერი იქნებოდა.

მახსოვს, პირველი კურსის ბოლოს პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად სტუდენტები სხვადასხვა ბეჭდურ მედიაში გადაგვანაწილეს, იმ დროისთვის საკმაოდ გავლენიან და პოპულარულ გაზეთში მოვხვდი, მე კი მაინც „შირაქი“ ავირჩიე იმ მოტივით, რომ მიყვარს! „შირაქისადმი“ სიყვარული არასოდეს გამნელებია და მიხარია, რომ არც მას გაუცრუებია ჩემი იმედები. მე-10 000 ნომერი... ეს უკვე ძალიან ბევრია, მეგობრებო, მით უმეტეს, ყოველკვირეული რეგიონული პერიოდიკისთვის. ეს ერთი კი არა,რამოდენიმე გაზეთის ისტორიისთვისაც კი საკმარისია. ვინ იცის, რამდენი უძილო ღამეა ამ 10 000 ნომერში, რამდენი შრომა, დარდი და სიხარული...ჩემო უსაყვარლესებო და უნიჭიერესებო, გილოცავთ საიუბილეო ნომრის გამოცემას. მე თქვენ მიყვარხართ!“

ანა ბენაშვილი: „გაზეთი „შირაქი“ ჩვენი ქვეყნის და დედოფლისწყაროს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტების, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების თუ ადამიანთა ყოველდღიური ყოფის მემატიანეა და ასახავს დედოფლისწყაროელების წარმატებულ საქმიანობას, მიმდინარე ცვლილებებს, სიხარულს, შეცდომებს, ტრაგიკულ ამბებს და ტკივილებს. „შირაქი“ ჩვენი ერთგული მეგობარია და 1937 წლიდან დღემდე მოაბიჯებს დედოფლისწყაროელებთან ერთად, აგროვებს ფაქტებს, ადამიანთა ისტორიებს, ემოციებს და ერთად აკინძული მოქვს ჩვენამდე. დღეს ბევრი ამბობს: ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში რაღა დროს წიგნი და გაზეთიაო. ჩემი აზრით, სწორედ ამ ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს სჭირდებთ ელექტრონული დღის წესრიგიდან განტვირთვა და ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი საკვებივით უსაფრთხო ბეჭდური წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რაც ჩვენზე განვითარებულ ქვეყნებსა და ელიტურ საზოგადოებაში მაღალი კულტურის ტონად ითვლება. ბეჭდური მედია ავთენტურობის, ტრადიციული ჟურნალისტური ელემენტების ნაზავია და გარკვეული ნიშა უკავია საინფორმაციო ბაზარზე. ადამიანთა უმრავლესობისთვის, ვისაც მთელი დღის განმავლობაში, ოფისებში კომპიუტერთან ჯდომა უწევს, დილა გაზეთების კითხვით იწყება. თუ ვერ იცლის, დღის ბოლოს, სახლში მიაქვს და ძილის წინ ავლებს თვალს. მთავარია გაზეთმა ხალხის დაკვეთა და მესიჯები ზუსტად გაიზიაროს და მათ სიმართლე დაუმახინჯებლად და გასაგებად მიაწოდოს.“

ილია მარტყოფლიშვილი, **გაზეთ „შირაქის“ ყოფილი კორესპონდენტი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორი:** „ის, რაც ამ 10 000 ნომრის უკან დგას, ყოველთვის მეძვირფასებოდა. ამიტომ, სულ მინდოდა „შირაქის“ ფურცლებზე მოხვედრა. პროფესიული თვალსაზრისით ფეხი „შირაქში“ არ ამიდგია, თუმცა პერიოდულად ვცდილობდი, სხვადასხვა ფორმით, მეთანამშრომლა დიდი ისტორიის მქონე რედაქციასთან, რომელიც ყოველთვის ავტორიტეტული გამოცემა იყო. ტელე-რადიო ჟურნალისტიკის სპეციალობა დავამთავრე, თუმცა ბეჭდური სიტყვის ძალა დღემდე კარგად მესმის. ეს ჩემი ლექტორების დამსახურებაცაა. ისინი გვინერგავდნენ, რომ ძლიერი ტელე-ჟურნალისტისთვისაც აუცილებელია საგაზეთო პრაქტიკა. მუდმივად მესმოდა, რომ რა გამოცდილებასაც გაზეთი იძლევა, ამას სხვაგან ვერ შევიძენდით. უნდა ვაღიარო - ასეა!.. ყველა სახეობის მედიაში ვიმუშავე, მაგრამ ბეჭდური მედია სულ სხვა სკოლა აღმოჩნდა. საგაზეთო სტრიქონებს სხვა ძალა და ხიბლი აქვს. კიდევ უფრო განსხვავებული და საინტერესოა რეგიონული მედია, რომელსაც სხვა სპეციფიკა აქვს.

ოფიციალურად „შირაქელი“ 2011 წელს გავხდი. სწორედ 84 წლიანი მდიდარი ისტორიის გამო გადავწყვიტე დედაქალაქიდან მშობლიურ რაიონში დავბრუნებულიყავი. არც მანამდე გამიწყვეტია მჭიდრო კავშირი, მაგრამ „შირაქის“ გამო დედოფლისწყაროში დაფუძნება გადავწყვიტე. არც მინანია! ამ დღიდან სულ სხვა ეტაპი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში, რომელსაც კიდევ არაერთი წარმატება მოჰყვა.

რამდენი რამ მაქვს სათქმელი და გასახსენებელი, მაგრამ გულწრფელად მიჭირს ემოცია სრულად გადმოვცე. რვა წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა „შირაქის“ განვითარებაში. ყოველდღიურად ვფიქრობდი და ვმუშაობდი საიმისოდ, რომ საინტერესო და ექსკლუზიური მასალები ყოველკვირეულად მიგვეტანა მკითხველამდე. უფრო ვრცლად და დეტალურად, ვიდრე ამას სხვა მედია აკეთებს. ახალი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რამდენიმე წელია დავტოვე „შირაქი“, მაგრამ ჩემი გული თქვენთან რჩება... დამეთანხმებით, არც ახლა გამიწყვეტია მჭიდრო კონტაქტი რედაქციასთან. მარტივი ჭეშმარიტებაა, ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ!.. ამიტომ, ხშირად მომნატრებია წერა. როცა მუზა მომაწვება და წერა ამიტანს, ისევ მოგმართავთ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა ვიყო, ყოველთვის ვითანამშრომლებ „შირაქთან“, სადაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო წლები გავატარე. ვამაყობ, რომ დედოფლისწყარო იმ გამონაკლის რაიონებს შორის ღირსეულ ადგილს იკავებს, რომელთაც ამხელა ისტორიის მქონე გაზეთი აქვთ. „შირაქმა“ ბევრი სიძნელის მიუხედავად დღემდე ამაყად მოაღწია. რაიონის მემატიანე გალამაზდა, დაიხვეწა და არც პერიოდულობა დაურღვევია, არც ერთგული მკითხველისთვის უღალატია. მინდა მადლობა ვუთხრა ყველა ყოფილ და მოქმედ „შირაქელს“, ვისაც წვლილი აქვს ჭაღარა გაზეთის დღემდე მოტანაში.

მომავალ წელს კიდევ ერთი მრგვალი თარიღი აქვს „შირაქს“, ვისურვოთ, რომ მანამდე პანდემია დამარცხდეს და საკადრისი ღონისძიებით აღვნიშნოთ გაზეთის 85 წლის იუბილე. ამ დიდი ისტორიისა და სახელის ღირსეულად ტარება მინდა გისურვოთ, კვლავაც ასეთი შემართებით, კიდევ მრავალი წელი!..

ნანა ლაპიაშვილი: **„შირაქის ყოფილი კორესპონდენტი**: „გაზეთ „შირაქის“ რედაქციაში ჩემი მოხვედრა შემთხვევითობას უკავშირდება, რადგან არასოდეს მიფიქრია სიყვარულით არჩეული მასწავლებლის პროფესიის შეცვლა, თუმცა, გარკვეულ გარემოებათა გამო, მომიწია მასზე უარის თქმა. შემდეგ ისე მოხდა, რომ ჩემი ცხოვრების ოცი წელი მივუძღვენი რაიონულ გაზეთს. ეს ის წლები იყო, როცა გამოცდილი და შედარებით ახალი თაობის ჟურნალისტები ერთდროულად მოღვაწეობდნენ გაზეთში და წინა თაობისგან ბევრი კარგის გაზიარება შეიძლებოდა. რას ნიშნავს ჩემთვის რედაქციაში გატარებული წლები? პირველ რიგში იმას, რომ შემოქმედებითი მუშაობა, თავისთავად, საინტერესო იყო, რადგან ის მოიცავდა ყოველდღიურ შეხვედრებს და ურთიერთობას ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანებთან, საქმიან ინტერვიუებს, აქტიურ კულტურულ თუ ლიტერატურულ ღონისძიებებს. მეორეს მხრივ - ცნობადობას და საზოგადოების სიყვარულსა და პატივისცემას. ამ წლების მანძილზე ბევრ ადამიანთან მომიხდა შეხვედრა, მუშაობა, იყვნენ განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი რესპონდენტები, რომელთა პორტრეტების შექმნისას მიღებული სიამოვნება დღემდე მომყვება. ერთ მუშტად შეკრულმა რედაქციის კოლექტივმა ბევრნაირ გაჭირვებას გაუძლო 90 - იან წლებში, მაგრამ, მიუხედავად პრობლემებისა, სწორედ მაშინ აღინიშნა ფართო მასშტაბით გაზეთის ერთერთი საიუბილეო ნომრის გამოსვლა, დღეს კი მე - 10 000 ნომერს ზეიმობს ღვაწლმოსილი გაზეთი. მინდა, ჩემი პატივისცემა დავუდასტურო „შირაქის“ რედაქციის ახლანდელ შემადგენლობას, მივულოცო საიუბილეო თარიღი და ვუსურვო ბევრი შემოქმედებითი წარმატება. ასევე, მინდა, დიდი სიყვარულით მოვიკითხო რედაქციის ყველა ყოფილი თანამშრომელი, რომელთა გვერდითაც ბევრი საინტერესო წელი გავატარე. კვლავაც მრავალი გვეზეიმოს, „შირაქელებო“!

ნანა ჭიჭინაძე: **დამსახურებული ჟურნალისტი:** „ვულოცავ ჩემს საყვარელ და ძვირფას გაზეთ „შირაქს“ მე-10,000 ნომრის გამოცემას. თქვენ ხართ გუნდი, რომელიც ყოველთვის მზადაა დაეხმაროს თავის მკითხველს, არამარტო პრობლემის გადაწყვეტაში, არამედ გაიზიაროს მისი სიხარული, ბედნიერება, გამარჯვება. თქვენ განსაკუთრებული ენერგიითა და ცოდნით შეიარაღებული პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი ხართ, რომლებიც წლების განმავლობაში თანამშრომლობენ ჩემთან, მუდმივად ბეჭდავენ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას. თქვენ ის შეუცვლელი მრავალწლიანი გამოცდილების მქონე აკადემიური გამოცემა ხართ, რომელსაც ვერანაირი ინტერნეტიზაცია ვერ შეცვლის. თქვენი ისტორია თქვენი ძალაა! სწორედ ამ ძალის და ენერგიის შენარჩუნებას გისურვებთ ჩემო ძვირფასო „შირაქელებო“!“.

ნათელა შარვაძე - იაკობიშვილი, **ყოფილი თანამშრომელი და ერთგული მკითხველი:** „დღეს ჩემთვის გაზეთი „შირაქი“ ჩემი დედისერთა შვილის-ილიკო შარვაძის ხსოვნის გამოხატვის, მოფერების, დარდის გაზიარების შესაძლებლობაა, რადგან სულის საოხად ესღა დამრჩენია. დიდი მადლობა რედაქციას, რომ მაძლევს საშუალებას, ამოვთქვა გულში დაგუბებული მოუშუშებელი ტკივილი ჩემი ილიკოს დაბადების, გარდაცვალების ხსოვნის დღეების დროს. ეს ჩემი დღევანდელი ხვედრია, ახალგაზრდობაში კი, მე ყოველდღიური შეხება მქონდა გაზეთის რედაქციასთან, რადგან რამდენიმე წელი რაიონულ სტამბაში გვერდების დაკაბადონებაზე ვმუშაობდი. ის ბედნიერი დრო ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი იყო. მართალია, სტამბა ცალკე ორგანიზაცია იყო, მაგრამ ერთ შენობაში ვიყავით და საქმიანობითაც ისე ვიყავით ერთმანეთზე დამოკიდებული, რომ ერთი დიდი ორგანიზმი გახლდით და ერთნაირად ვზრუნავდით მკითხველისათვის ხარისხიანი გაზეთი მიგვეწოდებინა. ერთი გვქონდა ჭირი და ლხინი, ერთად დავდიოდით წვეულებებზე, ექსკურსიებზე, თეატრში, კინოში, კონცერტებზე როგორც ადგილზე, ასევე დედაქალაქში. ეს განუმეორებელი, გასული საუკუნის სამოცდაათი-ოთხმოციანი წლები იყო. მერე მე ოჯახით საცხოვრებლად თბილისში დავბინავდი, უბედნიერესი ოჯახი მქონდა. მე და ჩემი მეუღლე ბადრი შარვაძე თავს ვევლებოდით ჩვენს შვილს. ლამაზი და ნიჭიერი ახალგაზრდა იყო. მოულოდნელად მეუღლე გარდამეცვალა, მერე ჩემი ილიკო დაოჯახდა. მე მარტოდდარჩენილი დედის მოსავლელად დედოფლისწყაროში დავბრუნდი და.. სიბერე გამიმწარდა ერთ წამში. მეგობრებთან მდგარ ჩემს შვილს ანევრიზმა გაუსკდა და იქვე დალია სული. მე თავად მიკვირს ცოცხალი რომ ვარ. ორი შვილიშვილი და შვილთაშვილიც მყავს უკვე.

ამ მწუხარების მიუხედავად, მე აქტიური ხელმომწერი, მკითხველი და გულშემატკივარი ვარ ამ გაზეთის. კვლავაც წარმატებებს და ხანგრძლივ „სიცოცხლეს“ ვუსურვებ „შირაქს“.“

ისრაელის ფართომასშტაბიანი კვლევის შედეგი – დამატებითი დოზა სიკვდილსა და ჰოსპიტალიზაციას გვარიდებს

ისრაელში მდებარე კლალიტის კვლევით ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერებმა ქვეყანაში ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარეს, რომელმაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დამატებითი დოზის ეფექტიანობა ცხადყო. აღმოჩნდა, რომ ის ინფექციისგან 93 პროცენტით გვიცავს და SARS-CoV-2-ის დელტა ვარიანტსაც ებრძვის, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.

ისრაელმა თავიდანვე გამოთქვა სურვილი, რომ კომპანია Pfizer-ის ვაქცინა სხვებზე ადრე მიეღო, რათა მისი სარგებლიანობა შეემოწმებინა. ეს სახელმწიფოს ზამთარში მოზღვავებული ინფიცირების შემთხვევების შემცირებაში დაეხმარა. ამის მიუხედავად, ივლისისთვის დელტა შტამმა ძალები მოიკრიბა და COVID-19-ით მრავალი ადამიანის დაავადება გამოიწვია.

იმავე თვეში ქვეყანამ მოსახლეობის დამატებითი დოზებით აცრა დაიწყო და მათ შესახებ მონაცემებიც შეაგროვა, რომლის ანალიზის შედეგები გამოცემაში The Lancet გამოქვეყნებულ ნაშრომშია წარმოდგენილი. აღნიშნული ინფორმაცია მიმდინარე წლის 30 ივლისიდან 23 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს და ისრაელში დაფიქსირებულ კორონავირუსის მე-4 ტალღას ემთხვევა.

კვლევის ფარგლებში სპეციალისტებმა 3-ჯერ აცრილი 728 321 ადამიანის მონაცემები შეადარეს იმავე რაოდენობის ჯგუფს, რომელში შემავალ პირებსაც მინიმუმ 5 თვით ადრე Pfizer-ის ვაქცინის მე-2 დოზა ჰქონდათ გაკეთებული, „ბუსტერი" კი ჯერ არა. ამ კატეგორიებში გაერთიანებული მოქალაქეები მეცნიერებმა ისე შეარჩიეს, რომ მათი ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობა და სხვა დეტალები მაქსიმალურად ერთნაირი ყოფილიყო.

ნაშრომის ავტორებმა დაადგინეს, რომ მე-3 ინექციიდან ერთ კვირაზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, COVID-19-ის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაყვანის რისკი 93 პროცენტით შემცირდა იმათთან შედარებით, ვინც პრეპარატი მხოლოდ 2-ჯერ მიიღო. დამატებითმა ე.წ „ბუსტერ" დოზამ პირველი ჯგუფი დაიცვა, როგორც დაავადების მძიმე ფორმისგან (92%), ასევე ინფიცირებისგან (88%), აშკარა სიმპტომებისგან (91%) და გარდაცვალებისგან (81%).

ერთი შეხედვით, შესაძლოა, სიკვდილისგან დაცვის პროცენტული მაჩვენებელი, სხვებთან შედარებით, დაბალი ჩანდეს, მაგრამ ეს ასე არაა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ პირველ კატეგორიაში მსხვერპლის რაოდენობამ მხოლოდ 7 შეადგინა, ცდომილება კი აქ იმეზე მეტია, ვიდრე ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში.

მკვლევრებს არ დაუკონკრეტებიათ, რამდენ ხანს გრძელდება ორგანიზმზე ვაქცინის დამატებითი დოზის მსგავსი გავლენა, თუმცა ზემოხსენებული შედეგები გვიჩვენებს, რომ ის კორონავირუსის წინააღმდეგ ეფექტიანია.

წყარო: iflscience

ე.წ. ლოკდაუნი, ტრანსპორტის შეჩერება არ განიხილება

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე განმარტავს, მოქალაქეებმა ე.წ. მწვანე პასპორტის გამოყენებისას რა ინდიკატორები უნდა დააკმაყოფილონ.

ამასთან, როგორც მან უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, პანდემიის მართვის მოდელი შეიცვალა და ე.წ. ლოკდაუნები, ჩაკეტვები და ტრანსპორტის შეჩერება არ განიხილება.

„ე.წ. მწვანე პასპორტში შედის 4 ინდიკატორი: ორჯერადი აცრა და გაკეთებიდან 14 დღე რომ იყოს გასული; ბოლო 6 თვის განმავლობაში აქვს თუ არა პირს გადატანილი ინფექცია; ბოლო 72 საათში ნეგატიური გაქვს თუ არა პისიარის ტესტის პასუხი და 24 საათში გაქვს თუ არა ანტიგენის ტესტი ნეგატიური. აქედან ერთ-ერთს უნდა აკმაყოფილებდე, რომ შენს პასპორტს ერქვას „მწვანე" პასპორტი.

რაც შეეხება შეზღუდვებს, შეზღუდვებზე არ არის საუბარი, იმიტომ, რომ პანდემიის მართვის მოდელი ზოგადად მთელ მსოფლიოში შეცვლილია. მათ შორის ჩვენთანაც - ნაკლები შეზღუდვა, რომელიც ეკონომიკაზე ახდენს ზეწოლას, ე.წ. ლოკდაუნები, ჩაკეტვები, ტრანსპორტის შეჩერება, არ განიხილება. განიხილება არაპირდაპირი ე.წ. დისკომფორტის, „მწვანე პასპორტის" შემოტანა, წამახალისებელი ღონისძიებები და ყველაზე მარტივი რეგულაციების დაცა, რომელსაც ხშირად ვიმეორებ. ესენია: ყველას ეკეთოს პირადე, ყველამ დაიცვას დისტანცია, აარიდოს თავი ნებისმიერი მიზეზით დიდ შეკრებას და ხშირად დავიბანოთ ხელები, წავიდეთ და ავიცრათ", - განაცხადა გამყრელიძემ.

მან ასევე აცრებთან დაკავშირებული ახალი სტატისტიკა წარადგინა. „2020 წლის 15 მარტიდან, ანუ მას შემდეგ რაც საქართველოში კორონავირუსის აცრის პროცედურა დაიწყო, სექტემბრის პერიოდამდე ქვეყანაში კორონავირუსისგან გარდაიცვალა 5 469 ადამიანი. ამ შემთხვევაში არავაქცინირებული იყო 98,95%."

ამირან გამყრელიძის თქმით, კოვიდის ვაქცინაციის მაჩვენებელი ყოველდღიურად იკლებს. მისვე თქმით, გარკვეულად იზრდება ბუსტერი, დაახლოებით 2 500 — 2 700 ბუსტერი არის გაკეთებული, თუმცა ეს ახალგაზრდა მოსახლეობის ხარჯზეა. ამირან გამყრელიძის განმარტებით, მოლოდინი აქვთ იმის, რომ ბუსტერები გაიზრდება იანვარში, დაახლოებით 150 000 ბუსტერს ელოდებიან.

მან წარმოადგინა ანალიზი თუ როგორ იცავს ადამიანს აცრა კორონავირუსისგან.

„30 სექტემბრის პერიოდით აღებული, სრულად ვაქცინირებული პირების ინფიცირების შანსი ჩვენი კვლევით არის 9,87-ით ნაკლებია არავაქცინირებულ პირებთან შედარებით. ამ ხნის განმავლობაში, 30 სექტემბრის ჩათვლით ქვეყანაში ვაქცინირებული სრულად იყო 814 851 პირი და აქედან იდენტიფიცირებული იქნა 11 403, ვისაც ლაბორატორიულად დაუდასტურდა კოვიდის შემთხვევა. ამ პერიოდში ჰოსპიტალიზირებული იყო სულ ქვეყანაში 15 მარტიდან მოყოლებული 53 767 ადამიანი და ჰოსპიტალიზაცია ვაქცინირების შემდეგ დასჭირდა 1 386 ადამიანს. ვაქცინაციის ეფექტურობა ჰოსპიტალიზაციისგან დაცვის მხრივ არის 93,4%. 60 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში ჰოსპიტალიზაციისგან დაცვა არის 91,7%. ხოლო 18-59 წლის ასაკის ადამიანებში ჰოსპიტალიზაციისგან დაცვის ეფექტურობა არის ვაქცინაციის 95%.

60 წლის ზემოთ ასაკობრივ ჯგუფში, სრულად ვაქცინირებულებში ინსტენსიური მკურნალობის საჭიროება 97,5% ნაკლებ შემთხვევაში დგება არავაქცინირებულებთან შედარებით. 18-59 წლის ასაკის ადამიანებში ინტენსიურ ჯგუფში მოხვედრის მხრივ დაცვა არის 99%. სულ ინტენსიურში მოხვდა ორჯერ ვაქცინირებული 72 პირი", - აცხადებს გამყრელიძე.

„მწვანე პასპორტი" ვერ ჩაანაცვლებს ვერცერთ რეგულაციას

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, ე.წ. მწვანე პასპორტის მექანიზმის დანერგვის შემთხვევაში, ყველა ის რეგულაცია, რომელიც კოვიდის მართვისთვის დაწესებულია, ძალაში დარჩება.

როგორც მან ჟურნალისტებს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, „მწვანე პასპორტი" ვერცერთ დაწესებულ რეგულაციას ვერ ჩაანაცვლებს. „ჩვენთვის ყველასთვის მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინაციის პროგრამაში მომართვიანობა გაიზარდოს.

ამრიგად, ჩვენ ვსაუბრობთ, ე.წ. მწვანე საშვის, მწვანე პასპორტის მექანიზმზე, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულწილად ეპიდუსაფრთხოებაზე დამატებით მოთხოვნებს, მათ შორის, ვაქცინაციაზეც მოთხოვნას. ეს რამდენად იქნება დადებითი სტიმული ვაქცინაციის ქცევისთვის, რთული სათქმელია. მწვანე პასპორტის შემთხვევაში, ყველა ის რეგულაცია, რომელიც დაწესებულია კოვიდის მართვისთვის, ძალაში რჩება. მწვანე პასპორტი ვერცერთ შემთხვევაში, ვერ ჩაანაცვლებს ვერცერთ რეგულაციას,"- განაცხადა გაბუნიამ.

ამასთან, მისივე თქმით, გარანტია, რომ საერთოდ გამორიცხულია დამატებითი შეზღუდვების დაწესებაზე საუბარი, არავის შეიძლება ჰქონდეს.

„მწვანე საშვის" მექანიზმს არ ექნება დაუყოვნებელი შედეგი. „მწვანე საშვის" მექანიზმი თუ ამოქმედდა, აქ, რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდი უნდა მიეცეს როგორც მომხმარებელს, ასევე დასაქმებულსა და დამსაქმებელს მოსამზადებლად, იმისთვის, რომ თუ აქამდე არ მიუღიათ აცრის გადაწყვეტილება, აიცრან. „მწვანე საშვის" მექანიზმი არ არის ერთადერთი მექანიზმი და არც მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ როგორც კი მწვანე საშვის მექანიზმი ამოქმედდება, უეცრად ვაქცინაციის პროგრამა დაუბრუნდება დღეში 30 ათას აცრას. ეს არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომ დამატებითი სტიმული შეიქმნას იმ ადამიანებისთვის, ვინც აცრა ვერ გადაწყვიტა. ეს არის ერთ-ერთი და ერთადერთი საშუალება", - განაცხადა გაბუნიამ.

საქართველოში კორონავირუსის სამკურნალოდ მონოკლონურ ანტისხეულებს გამოიყენებენ

კორონავირუსით ინფიცირებულ იმ პაციენტებს, ვისთანაც დაავადების გართულების მაღალი რისკია, მონოკლონური ანტისხეულებით უმკურნალებენ. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, პრეპარატები ქვეყანას გერმანიისა და აშშ-ს მთავრობამ გადმოსცა. ორივე მედიკამენტი აღიარებულია აშშ-ის საკვებისა და მედიკამენტების სააგენტოს (FDA) მიერ.

კორონავირუსის საწინააღმდეგო მონოკლონური ანტისხეულები COVID-19-ის სამკურნალოდ ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიდგომად ითვლება. მედიკამენტების გამოყენების ალგორითმი დღეს ჯანდაცვის სამინისტროში, კლინიკური საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს. **„ორი განსხვავებული პრეპარატია ხელმისაწვდომი, ერთი კასირივიმავი/იმდევიმაბი, რომელიც არის ჰოსპიტალიზებული პაციენტებისთვის. აღნიშნულ პრეპარატს მიიღებენ კლინიკები, ვინც ჩართულია კოვიდის მართვაში. გაწერილია დეტალური მოხმარების ინსტრუქცია, ძირითადად ეს არის პაციენტები, ვისაც პროგნოზულად აქვთ დამძიმების უფრო მაღალი რისკი სხვა პაციენტებთან შედარებით, მაგალითად 65 წლის მქონე პირები, ასევე პირები, რომელთაც აქვთ თანმხლები დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ჭარბი წონა, ჰიპერტენზია, ან რაიმე სხვა თანმხლები დაავადება და ამასთანავე, საყურადღებოა მათი მდგომარეობა ჰოსპიტალიზაციის მომენტში. ასევე მეორე ჯგუფი — ბამლანივიმაბი/ეტესევიმაბი ნაჩვენებია შედარებით მსუბუქი პაციენტებისთვის, დაავადების განვითარების ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ეს იქნება პაციენტი, რომელსაც შესაძლოა სჭირდებოდეს მკურნალობა კოვიდ სასტუმროში, ან ბინაზე. ოჯახის ექიმები გააკეთებენ ამ პირების იდენტიფიცირებას, ვისაც ასაკის ან თანმხლები დაავადებების გამო მაღალი აქვს დამძიმების რისკი და შემდეგ მოხდება ამ პაციენტებისთვის, დაავადების ადრეულ ეტაპზე, ვიდრე იქნება მძიმე სურათი გამოხატული, მონოკლონების ადმინისტრიორება"**, — აღნიშნავს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **თამარ გაბუნია**. კასივირიმაბი/იმდევიმაბი საქართველოს გერმანიის მთავრობამ გადმოსცა. თამარ გაბუნიას თქმით, სამეცნიერო კვლევებმა აჩვენა, რომ პრეპარატს საკმაოდ მაღალი ეფექტურობა აქვს მსუბუქი და საშუალო სიმძიმის პაციენტებში, როდესაც პროგნოზულად დამძიმების რისკია და სწორედ ამის თავიდან აცილებას უწყობს ხელს. ეს პრეპარატი მნიშვნელოვანია სიკვდილობის შემცირების და ჰოსპიტალიზაციის ვადის შემოკლების კუთხით.

აშშ-ის მიერ მოწოდებული ბამლანივიმაბი/ეტესევიმაბის დაავადების საწყის ეტაპზე, რისკჯუფებში გამოყენება და ჰოსპიტალიზაციის, დაავადების მძიმე ფორმის ჩამოყალიბების თავიდან აცილების, ასევე სიკვდილობის შემცირების შესაძლებლობას იძლევა.

რისთვისაა საჭირო კატალიზატორი და რატომ უნდა ჰქონდეს ის ჩვენს ავტომობილს?

ცვლილებები კანონში - კატალიზატორი სავალდებულო ხდება?

კატალიზატორი გამოსაბოლქვი სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გვეხმარება დამუშავებული აირების მავნე ნივთიერებების პროცენტულ შემცირებაში, მათ შორის ნახშიროჟანგი (CO2), აზოტის ოქსიდები (NOx) და ნახშირწყალბადები (HC). როდესაც ავტომობილის ძრავი მუშაობს, დამუშავებული აირები აცხელებენ კატალიზატორს, რის შედეგადაც ხდება მავნე ნივთიერებების წვა და მათი პროცენტული შემცველობის კლება. შედეგად ავტომობილი გადის ამა თუ იმ დაწესებულ ეკოლოგიურ მოთხოვნებს. მაგ; ევრო რეგულაციას (ევრო 4, ევრო 5 და ტექნიკურ ინსპექტირებებს).

კატალიზატორი ისეთი მეტალებისგან შედგება, როგორებიცაა პლატინა, პალადიუმი, როდიუმი. სწორედ ამის გამო, ავტომობილს ხშირად ამ ნაწილს აცლიან და ამით ფინანსურ სარგებელს ნახულობენ. ზოგს ეს საქმიანობა ბიზნესადაც კი აქვს ქცეული. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში $750,000-ად შეფასებულ, 250 მოპარულ კატალიზატორს მიაკვლიეს. მხოლოდ ლოს ანჟელესში 2019-2020 წლებში კატალიზატორების ქურდობის მაჩვენებელი 400%-მდე გაიზარდა. როგორც წესი, კატალიზატორების ქურდებს მიზანში თოყოტა ჯრიუს-ები აქვთ ამოღებული, რადგან ჰიბრიდული ავტომობილის კატალიზატორები უკეთეს მდგომარეობაშია. ფორდ ფ-250-სა და სხვა დიდი ზომის ავტომობილებს შედარებით დიდი კატალიზატორები აქვს. ამიტომ, ისინიც ხშირი სამიზნეა.

როგორია კატალიზატორის მუშაობის პრინციპი?

როდესაც ავტომობილის ძრავა მუშაობს, დამუშავებული აირები კატალიზატორს აცხელებს, რის შედეგადაც ხდება მავნე ნივთიერებების შლა და მათი პროცენტული შემცველობის კლება. შედეგად, ავტომობილი ამა თუ იმ დაწესებულ ეკოლოგიურ მოთხოვნებსა და Eურო რეგულაციებს აკმაყოფილებს.

რა მოხდება თუ ჩვენი კატალიზატორი გაფუჭდება?

კატალიზატორის გაფუჭებამ შესაძლოა ბევრი პრობლემა გამოიწვიოს. მაგალითად, აჩქარების შენელება და საწვავის გაზრდილი მოხმარება. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ, შესაძლოა, თქვენი ავტომობილი მოძრავი კიბო გახდეს! ავტომობილის მოდელის მიხედვით, კატალიზატორის გამოცვლა შესაძლოა იმაზე ძვირი დაგიჯდეთ, ვიდრე წარმოგედგინათ.

6 რჩევა,როგორ შევუნარჩუნოთ კატალიზატორს კარგი მდგომარეობა

თუ კარგად მოუვლით, თქვენი კატალიზატორი ავტომობილის სიცოცხლის ბოლომდე გაძლებს. შემდეგ კი მისი გადამუშავებით კარგ ფულსაც მიიღებთ. იმასთვის, რომ კატალიზატორის გამოცვლის ან შეკეთების დიდი საფასური თავიდან აიცილოთ, რამდენიმე გზა არსებობს:

1. გაითვალისწინეთ, რომ დაბალი ხარისხის საწვავი კატალიზატორზე ცუდად მოქმედებს. ამან შესაძლოა ძრავის ეფექტურობა შეამციროს. კარგი იქნება, თუ მფლობელის სახელმძღვანელოში რეკომენდირებულ ხარისხს შეარჩევთ. ამისთვის ძრავაც მადლობელი დაგრჩებათ!

2. გამოიყენეთ მხოლოდ ის საპოხი მასალა და დანამატები, რომლებსაც ავტომწარმოებელი უწევს რეკომენდაციას. არარეკომენდირებულმა საპოხი და დანამატი შეიძლება ისეთ შუალედური პროდუქტებს შეიცავდეს, რამაც თქვენი კონვერტერი დააზიანოს.

3. უსწორმასწორო გზებზე სიარულისას, მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენი კატალიზატორი უსწორმასწორობებს არ ეჯახებოდეს. როგორც წესი კონვერტერის გული კერამიკისაა და შესაძლოა ის ადვილად დაზიანდეს.

4. შეამოწმეთ ფრქვევანაში ხომ არ არის კოლტები. არასაკმარისმა წვამ შესაძლოა დაუწვავი ბენზინის კატალიზატორში მოხვედრა და იქ წვა განაპიროს. ეს არა მხოლოდ კატალიზატორს დააზიანებს, არამედ, შესაძლოა სერიოზული ხანძრის მიზეზიც კი გახდეს.

5. მოერიდეთ გუბეებში გავლას. კატალიზატორი მაღალ ტემპერატურაზე მუშაობს. წყალთან კონტაქტისას გაგრილებამ შესაძლოა დაზიანება გამოიწვიოს.

6. პრობლემის ადრეულ სტადიაში აღმოჩენა. გეგმიური სერვისის დროს, შეამოწმეთ კატალიზატორიც. არ უნდა აღენიშნებოდეს დეფორმირებები და ბზარები.

არსებობს კატალიზატორის შემოწმების სამი ხერხი:

1. მისი დემონტაჟი და შემოწმება. განვითარებულ ქვეყნებში, თუ კატალიზატორი დამსხვრეული არაა და მხოლოდ გასაწმენდია, იგი სუფთავდება სპეციალური ხსნარით.

2. კატალიზატორის შემოწმება მანომეტრით (წნევის გასაზომი მოწყობილობა);

3. მესამე და ყველაზე ადვილი - ნეიტრალურ რეჟიმში, ხელთათმანით დაცული ხელის მიდება მაყუჩთან. იმ შემთხვევაში თუ წნევა არ იგრძნობა ანუ ჰაერი არ იწოვს თქვენს ხელს, ე.ი კატალიზატორს პრობლემები აქვს.

საქართველოში 2022 წლის პირველი იანვრიდან ავტომობილებისთვის ე.წ. კატალიზატორის ქონა, სავალდებულო ხდება. კატალიზატორის მქონე ავტომობილები საქართველოში საკმაოდ მცირეა. სამომხმარებლო ბაზარი, ძირითადად, მეორად მანქანებს იყენებს, რომლებსაც ან შეძენამდე არ მოჰყვა ქარხნული წესით დამზადებული ნაწილი, რომელიც საწვავის წვის შედეგად გამონაბოლქვ მავნე ნივთიერებას ფილტრავს, ან მისი ამოღება და გაყიდვა თავად მძღოლებმა გადაწყვიტეს. ვის შეეხება გამკაცრებული კანონი, რა ხარჯების გაღება მოუწევთ მძღოლებს კატალიზატორის ავტომობილებში დასამონტაჟებლად და რა სარგებელს მოიტანს რეგულაცია, რომელმაც ჰაერის გაჯანსაღება უნდა უზრუნველყოს.

როგორც „რუსთავი 2-ს“ ტექნიკური ინსპექტირების ასოციაციის ხელმძღვანელმა, ვაჟა იორდანიშვილმა განუცხადა, 2022 წელიდან გამონაბოლქვში ჩმ-ს შემცველობის ნორმა მკაცრდება და როგორც მსუბუქ, ისე - მომატებულ ბრუნზე 0,3%-დან 0,5-მდე დიაპაზონში უნდა მერყეობდეს. ვაჟა იორდანიშვილი, ასევე, განმარტავს, თუ რომელი ტიპის და რომელი წლიდან შემოყვანილ ავტომობილებს შეეხება გამკაცრებული რეგულაცია. **„კატალიზატორის მოთხოვნა ყველა ტიპის ავტომობილებისთვის არ არის. ეს რეგულაცია შემოსულია 2020 წლის აპრილის შემდგომ განბაჟებულ და რეგისტრირებულ ავტომობილებზე. მათთვის კატალიზატორის ქონა იქნება სავალდებულო. რაც შეეხება 2022 წელს, აქ გამონაბოლქვში CO-ს შემცველობის ნორმა მკაცრდება და ჩამოდის დაბლა, თუ 2021 წელს იყო 0,6 %, 2022-წლიდან, თითქმის, ორმაგდება და მისი ქვედა დასაშვები ზღვარი ხდება 0,5 და 0,3, დაბალ და მაღალ ბრუნზე, შესაბამისად, მართალია, კატალიზატორი ყველას არ მოეთხოვება, მაგრამ ნორმა საკმაოდ მკაცრდება. კატალიზატორები ვისაც ამოღებული აქვს, იმის დაბრუნება შეიძლება, თუმცა, არ ვიცი, რესურსი რამდენად ეყოფათ იმ დაბალი ხარისხის კატალიზატორებს. რაც მოხსნეს და ჩააბარეს, ის სამკომპონენტიან ძვირადღირებულ მეტალებს შეიცავს და შესაბამისად, ძვირი ღირს. რასაც აყენებენ, იმან, შესაძლოა, ნორმა დააკმაყოფილოს, მაგრამ რესურსს რამდენად დააკმაყოფილებს და რამდენი წელი გაძლებს, ამას დრო გვაჩვენებს. ტექინსპექტირების ცენტრებში შემოწმდება გამონაბოლქვის კოეფიციენტი და აქედან დაადგენენ, რამდენად გამართულად მუშაობს კატალიზატორი, რასაც სპეციალური მოწყობილობა ადგენს,”**- აცხადებს ვაჟა იორდანიშვილი.

2022 წლამდე გადავადდა ავტომობილში ცეცხლმაქრის, პირველადი სამედიცინო ყუთისა და უსაფრთხოების სამკუთხედის ქონის ვალდებულებაც. საავტომობილო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი, მევლუდ მელაძე ასევე „რუსთავი 2-თან“ აცხადებს, რომ ავტომობილებში ე.წ. კატალიზატორების დაყენება გრძელვადიან პერსპექტივაში ეკოლოგიურად სუფთა ქალაქის წინაპირობაა. **„კატალიზატორის უკან დაბრუნება მანქანებზე რთული იქნება. მანიპულაციების ჩატარება გაცილებით ძვირიც დაჯდება, კატალიზატორი კი უკვე ძალიან ბევრ მანქანას აღარ აქვს. ავტომობილები, რომელიც 2020 წლის აპრილიდან შემოვა, მათ აუცილებლად მოეთხოვებათ კატალიზატორები. ქარხნული კატალიზატორი გაცილებით ძვირი და დახვეწილია, რომელიც გაცილებით ფუნქციურია და კარგი. ეს ინიციატივა საკმაოდ კარგია და მივესალმები, ევროპულ ოჯახში სხვანაირად ვერ შევალთ, იმიტომ, რომ ევროპა ზრუნავს ეკოლოგიაზე და მეორე - დაავადებების მეტი წილი სწორედ ამ გამონაბოლქვიდან მოდის. კატალიზატორიანი ავტომობილის გამონაბოლქვი ბევრად ჯანსაღია და კატალიზატორს დაჰყავს 0,01-მდე გამონაბოლქვი, შეიძლება ითქვას, რომ ბოლომდე ახერხებს გააქროს და გაფილტროს გამონაბოლქვი. ამიტომ, კატალიზატორის ხარჯზე მოხდება ეკოლოგიის საგრძნობლად გაუმჯობესება, ჯანმრთელობა კი ყველაზე ძვირფასია. კატალიზატორების ჩაჭრას და პატარა სარგებლის ნახვას, უმჯობესია, გრძელვადიან პესრპექტივაში, გაცილებით სუფთა ქალაქი გვქონდეს,”**- აცხადებს მევლუდ მელაძე.

რა ხარჯებთანაა დაკავშირებული კატალიზატორების ავტომობილში ჩაყენება?

„შეიძლება, მინიმუმ, კატალიზატორის ფასი იწყებოდეს 600 ლარიდან, ეს იქნება მარტივი და იაფიანი კატალიზატორი, რომელმაც, შეიძლება, ერთი წელი გაძლოს. გააჩნია ავტომობილს, რადგან, შეიძლება, ეს ხარჯი 10 000 ლარამდეც გაიზარდოს. ზოგ შემთხვევაში თვითონ კატალიზატორები იმდენად ძვირი ღირს, რომ შესაძლოა, ავტომობილის ღირებულებასაც კი გაუტოლდეს,”- აცხადებს მევლუდ მელაძე.

კატალიზატორის და თანაც გამართულ მდგომარეობაში ქონა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გარემოს დაცვა მსოფლიოში ახლა ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს. გამონაბოლქვთან დაკავშირებული რეგულაციები სულ უფრო მკაცრდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გამართული კატალიზატორით, რომელიც გარემოში მავნე ნივთიერებების გამოყოფას საგრძნობლად ამცირებს, ჩვენ არა მხოლოდ გარემოზე, არამედ ადამიანების სიცოცხლეზეც ვზრუნავთ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

2 თვეში გერმანიაში ალეგალურად საქართველოდან მხოლოდ 63 მოქალაქე დასაქმდა

გერმანიაში, პროგრამის ამოქმედებიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით სეზონურ სამუშაოებზე საქართველოდან 271 პირი დასაქმდა. აქედან, საშემოდგომო სამუშაოებზე 63 ადამიანი გაემგზავრა - ამის შესახებ, „ბიზნესპრესნიუსს“ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში განუცხადეს.

უწყებაში ამბობენ, რომ ხსენებული შეთანხმებები არ არის დროში შეზღუდული და მისი განხორციელება გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

,,გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, 2021 წლის 14 აპრილიდან 2021 წლის 28 ოქტომბრის მდგომარეობის აღნიშნული შესაძლებლობით ისარგებლა და გერმანიაში სოფლის მეურნეობის სფეროში სეზონურ სამუშაოზე დასაქმდა 271 პირი. მათ შორის, სექტემბერ-ოქტომბერში დასაქმდა 63 საქართველოს მოქალაქე. აქვე აღსანიშნავია, რომ ხსენებული შეთანხმებები არ არის დროში შეზღუდული და მისი განხორციელება გაგრძელდება მომდევნო წლებშიც“- განუცხადეს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოში ,,ბიზნესპრესნიუსს“.

ინფორმაციისთვის, გერმანიაში სეზონური დასაქმების პროგრამის პლატფორმაზე სულ 95,000-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა.

გამოსათხოვარი

ცაცა ბენაშვილი

დღეს 2021 წლის 3 ნოემბერია. შენი დაბადების დღე - 73 წლის უნდა გამხდარიყავი, მაგრამ... სულ რაღაც ერთი კვირის წინ დასრულდა შენი სიცოცხლე, ჩემო საყვარელო ცაცა, ჩემო მეგობარო. 1971 წლის ივლისში გავიცანით ერთმანეთი - მე გაზეთ „ახალი შირაქის“ ახალბედა ჟურნალისტი ვიყავი, შენ უცხო ენების სახლმწიფო ინსტიტუტის წარჩინებული და პერსპექტიული სტუდენტი, რომელსაც რედაქცია, თითქმის ყოველ წელს, დროებით, არდადეგების პერიოდში, გასაქმებდა. მას მერე სრული ორმოცდაათი წელი გავიდა და ჩვენი მეგობრობაც ნახევარ საუკუნეს ითვლის. შენ ცხოვრების დიდი და ნაყოფიერი გზა გაიარე ასპირანტის პოზიციიდან ასოცირებულ პროფესორამდე. უამრავი ნაშრომის, პუბლიკაციის, თარგმანის ავტორი ხარ.

სოფელ სამრეკლოს დღემდე ახსოვს ოქროს მედალოსანი, საზოგადოებრივად აქტიური, თეთრბაფთებიანი გოგო, რომელმაც შემდგომში სოფელი ასახელა თავისი ნიჭიერებით, წესიერი და პატიოსანი ცხოვრების წესით, სამშობლოს და თავისი რაიონის დიდი სიყვარულით. სწორედ ეს სიყვარული იყო საფუძველი იმისა, რომ თბილისის შემდეგ დედოფლისწყაროშიც დააარსე კერძო სკოლა „ბენაური“, რადგან ყოველთვის იცოდი, რომ განათლებული მომავალი თაობა არის ერთადერთი ხსნა მომავლისა. ბევრ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუხსენი გზა, ადამიანებს მიეცი სამსახური, ამიტომ ბევრი მადლიერი ადამიანის გულში დაიდე ბინა. შენ მათთვის დარჩები საყვარელ, ჰუმანურ, მხრუნველ „ცაცა დირექტორად“.

დღეს საქართველოს ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შენი სახით დაკარგა ჭკვიანი მკვლევარი, ღირსეული თანამშრომელი და შესანიშნავი ადამიანი. სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და შენს მიერ გაზრდილი უამრავი მოსწავლე და სტუდენტი დარჩა შენი ხსოვნის ნათელსაყოფად. ნათელში იყავ, ძვირფასო მეგობარო, ღმერთს ებარებოდე!

სიყვარულით,
ნაირა გორაშვილი

ლილი ბეგაშვილი

ამ დღეებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზოგადოება და სამედიცინო სფერო კიდევ ერთ ღვაწლმოსილ ექიმს **ლილი ბეგაშვილს** დაემშვიდობა. ლილი ექიმი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა ამ საპასუხისმგებლო და ქვეყნისთვის საჭირო დარგის - „ოჯახის ექიმის“ ინტიტუტის განვითარებას. იგი იყო უაღრესად განათლებული, სიკეთითა და სათნოებით გასხივოსნებული ქალბატონი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა გახლდათ ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ექიმი, რომელიც ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა და რომელსაც რაიონის საზოგადოება თუ თითოეული მისი პაციენტი უაღრეს პატივს სცემს. ჩვენი კოლექტივის სახელით, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ ოჯახს ამ დიდ დანაკარგს, რომელთან შეგუებაც ძალიან გაგვიჭირდება.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები.

კოლეჯის თანამშრომლები ციური ხუციშვილი, ირმა შოშიაშვილი, თამრიკო ჯორკოშვილი, ციცინო ტოხაშვილი სამძიმარს უცხადებენ მარინა და ვანო ლოლაშვილებს შვილის

კოტე ლოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ციური და ავთანდილ ალიკოშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს მამა გიორგი ჯინაშვილის და ხათუნა ოზაშვილის ოჯახს დედის

ციური ბოსტოღანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ციური და ავთანდილ ალიკოშვილები სამძიმარს უცხადებენ კობა ალუღიშვილს ძმის

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა ჭიჭინაძე და მარიკა პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ლალი ბოჭორიშვილს, კობა, გია, ლია ალუღიშვილებს,

გოჩა ალუღიშვილს

გარდაცვალების გამო.

მონატრება

ვანო ნაზარეთიანი

ჩვენო ვანო, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო! 7 ნოემბერი მწუხარებითაა სავსე ჩვენი ოჯახისათვის. არადა, რა ბედნიერები ვიყავით ერთად! თქვენს დაოჯახებაზე და ბედნიერ მომავალზე ვოცნებობდით, გეგმებს ვადგენდით... თურმე ამაოდ!

2017 წლის 7 ნოემბერი ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში ტრაგიზმით შემოვიდა და აგერ უკვე 6 წელია, ცრემლი და ტკივილი გვარგუნა წილად. შენი მოულოდნელი სიკვდილი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ჯანმრთელმა და საღსალამათმა ისე მიგვატოვე, ვერ დაგვემშვიდობე. სევდით სავსეა ჩვენი ცხოვრება უშენოდ. სრულიად ახალგაზრდამ, განუხორციელებელი ოცნებებით და მიზნებით, დატოვე ეს ქვეყანა და ზეციურ სასუფეველში გადაინაცვლე. ოჯახის შექმნა ვერ მოასწარი, ასე უშვილძიროდ წახვედი და მომავლის გარეშე დაგვტოვე. დაგვაღონე მშობლები, მხარი ჩამოუგდე ერთადერთ ძმას, რომელსაც ძალიან აკლიხარ და სულ შენს ნატვრაშია.

შეუბრალებელი ყოფილა ბედისწერა. ერთ დღეში გვაქცია უბედურ მშობლებად და ასე გრძელდება დღემდე! როგორ ვამაყობდით შენით, შვილო, შენი კარგი ადამიანობით. დღეს კი მოგონებებით ვცხოვრობთ და იმედით, რომ მალე შეგხვდებით.

შენ მარტო ოჯახს კი არა, მთელ სოფელს, სანათესაოს და სამეგობროს დააკლდი. იმედია, ჩვენს მიერ დანთებული სანთლები გაგინათებს სასუფევლის კარს. განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. სანამ ვცოცხლობთ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

შენი ოჯახი

მეუღლე ირმა ბეგაშვილი, შვილები გიორგი, ნინო ალუღიშვილები იუწყებიან

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 2 ნოემბერს ქალაქ დედოფლისწყაროში.

ძმა კობა ალუღიშვილი, რძალი მაია ზედელაშვილი, ძმისშვილები გვანცა, ლევანი, მარიამი, ლუკა; სიძე დავით ბელიაშვილი, რძალი ანა კოდიაშვილი იუწყებიან

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ირმა ბეგაიშვილს მეუღლის და შვილებს გიორგი და ნინო ალუღიშვილებს მამის გარდაცვალების გამო.

ცოლისდა ინგა ბეგაშვილი, ქვისლი გია ლეკაშვილი, ცოლის დისშვილები დათო და ნიკა, რძალი მარიამ დიასამიძე იუწყებიან

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ირმა ბეგაშვილს მეუღლის, გიორგი და ნინო ალუღიშვილებს მამის გარდაცვალების გამო.

ნანა გოზალიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება სიძის

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს შვილს ირმა ბეგაშვილს მეუღლის და შვილებს გიორგი და ნინო ალუღიშვილებს მამის გარდაცვალების გამო.

ციცინო ლეკაშვილი, ნათელა იაკობიშვილი, ნაირა გორაშვილი, მევლუდი გიგოლაშვილი, ნაზი პოპიაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ირმა ბეგაშვილს მეუღლის და ნანა გოზალიშვილს სიძის

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

მზია ქენქაძე-კობაიძე და 1977 წლის კურსდამთავრებულები სამძიმარს ვუცხადებთ კობა ალუღიშვილს ძმის და გია ალუღიშვილს ბიძაშვილის

გოჩა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე გია დათუკიშვილი, შვილები: ნათია, თეა, ლევან დათუკიშვილები, სიძეები მიხეილ ხიზანიშვილი და ლევან ონიანი, შვილიშვილები: დათუნა, საბა, კესარია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლილი დათუკიშვილ-ბეგაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 2 ნოემბერს, დედოფლისწყაროში.

მაზლი ილია დათუკიშვილი, მაზლის ცოლი ნანა კიკილაშვილი, მაზლისშვილები ნინო და ვახტანგ დათუკიშვილები ოჯახებით იუწყებიან

ლილი დათუკიშვილ-ბეგაშვილის

გარდაცვალებას.

ილია დათუკიშვილი და ნანა კიკილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დოდო, ირინა და ლიანას მეუღლის და მამის

მორის მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ამავე ასოციაციის წევრებს: დოდო, ლიანა, ირინა, მანანა, ალიკა ნანა მერაბიშვილებს, ლიკა ნიკვაშვილს, ზურიკო და თამრიკო მამუკელაშვილებს, მეუღლის, მამის, ბიძის და პაპის

მორის მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

წითელწყაროს კულტურის განყოფილების ყოფილი გამგე, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის დედოფლისწყაროს დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარე ნელი გობეჯიშვილი და ნანა ჭიჭინაძე იუწყებიან, რომ ზემო ქედის ხალხურ საკრავთა ანსამბლის ცნობილ სოლისტს აწ გარდაცვლილ სანდრო წიკლაურს და სონია გელაშვილ-წიკლაურს კოვიდით ერთდროულად გარდაეცვალათ შვილები:

ნანი და ნოდარ წიკლაურები

თანაგრძნობას უცხადებენ მათ შვილებს, ძმას ზურიკო წიკლაურს და მამიდაშვილს ეთერ ქუჩუკის ასულ გელაშვილს. ნანი წიკლაური დაიკრძალა რუსთავში, ნოდარ წიკლაური დაიკრძალა ლაგოდეხში.

ევროპული საბავშვო ბაღი დედოფლისწყაროში

ამ დღეებში რედაქციაში წერილი შემოვიდა, ჩვენი თანამოქალაქის ლევან ჯანაშვილის სახელით, რომელიც წლებია გერმანიაში ცხოვრობს, იქ დაოჯახდა, თუმცა, წუთითაც არ აუღია სამშობლოს მაჯისცემიდან ხელი და მშობლიურ რაიონში მისი ყურადღება მუდამ იგრძნობოდა. მას არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება აქვს ჩატარებული ჩვენთან. მისი ღონისძიებები განსაკუთრებულ აქცენტს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მიმართ აკეთებდა. ლევანი ჩვენი, ყველასთვის საყვარელი პედაგოგის, მარინა ინასარიძის შვილია და სხვანაირი ვერც წარმომიდგენია რომ იყოს. ახლა გაგაცნობთ წერილის შინაარსს და აქვე დავძენ, რომ თემა მეტად აქტუალური და საინტერესოა, იდეები მისაღები და გასათვალისწინებელი, რადგან, მე, როგორც მოქალაქე და მშობელი, დიდი ხანია ვხედავ, რომ ამის საჭიროება ჩვენს დღისწესრიგში ნამდვილად დგას.

„მე ლევან ჯანაშვილი ვარ. დაახლოებით, უკანასკნელი ოცი წელი გერმანიაში გავატარე. აქ დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი და ვმუშაობდი საავტომობილო წარმოებაში, გერმანიის უდიდეს ფირმებში მანქანათმშენებლის სპეციალობით. ამჟამად ჩემი მეუღლე და მე ვფიქრობთ საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლაზე. ამის ერთ-ერთი წინაპირობაა, ჩვენი შვილისთვის იმ დონის განათლების მიღების საშუალება, რაც მას გერმანიაში ექნებოდა.

გერმანიაში და ზოგადად ევროპაში გამოიყენება სწავლების ბევრი და სხვადასხვა მეთოდოლოგია. პირველი კითხვა, რომელზეც ჩვენ პასუხი უნდა გაგვეცა, იყო თუ რომელი მათგანი იქნებოდა საუკეთესოდ მორგებული ჩვენს შვილზე. სად იქნება საუკეთესოდ შერწყმული ქართული კულტურა და საერთაშორისო ასპარეზზე ბავშვის მომავლის შანსებზე ზრუნვა. ამისთვის უნდა ვიცოდეთ, ვიცნობთ თუ არა საკუთარ შვილს ისე კარგად, რომ ბაღი შევურჩიოთ? არის თუ არა შესაბამისი ტიპის ბაღი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში? არ არსებობის შემთხვევაში, იქნებ საქართველოს სხვა რომელიმე რეგიონში წავიდეთ, ან თუნდაც თანამოაზრეები ვიპოვოთ და მათთან ერთად სასურველი ტიპის ბაღი შევქმნათ დედოფლისწყაროში? მე არ ვარ განათლების სფეროს სპეციალისტი, მაგრამ, როგორც მშობელს დამიგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომელიც მინდა გაგიზიაროთ.

პირველი რაც გავაკეთე იყო ის, რომ მოვიძიე ინფორმაცია, თუ რა ტიპის ბაღები არსებობს. შეგრძნება დამრჩა, რომ ისინი იმდენია, რამდენი ბავშვიცაა მსოფლიოში. ეს სულაც არაა ცუდი, რადგანაც ასე შესაძლებელი ხდება ყოველი ბავშვისთვის მისთვის საუკეთესო განათლების სისტემის შერჩევა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, სკოლამდელ ასაკში ბავშვმა ისწავლოს, თუ რა არის კარგი, და რა - ცუდი. რას ნიშნავს თავისუფლება და სამართლიანობა, განავითაროს სოციალური უნარები. ასევე ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობლების ჩართულობის შესაძლებლობა.

ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე შევარჩიეთ შემდეგი ტიპის ბაღები:

1. მონტესორის საბავშვო ბაღი: **„დამეხმარე, რომ გავაკეთო თვითონ“.** აქ ყურადღება გამახვილებულია დამოუკიდებელ სწავლაზე. ბავშვები თავად წყვეტენ, თუ რამდენ ხანს, რომელი საქმიანობით დაკავდნენ. აღმზრდელები ნაკლებად ერევიან. ისინი უფრო მეტად დამკვირვებლები არიან. აქედან გამომდინარე, პატარები სწავლობენ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას, დაშვებული შეცდომის დამოუკიდებლად გამოსწორებას და იძენენ ჩვევებს, როგორიცაა დამოუკიდებელი მოქმედება და სწავლა. აქვთ მასტიმულირებელი ხასიათის სათამაშოები, რომელებიც პატარებს მოძრაობისკენ და აღმოჩენისკენ უბიძგებს. მონტესორის პედაგოგიკაში ბავშვი არის საკუთარი სასწავლო გზის მთავარი აქტორი, რომელიც მოცემულ გეგმებს კი არ ემორჩილება, არამედ ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებსა და საჭიროებებს ითვალისწინებს.

2. ვალდორფის საბავშვო ბაღი: **„ბავშვი მოწიწებით მიიღე, სიყვარულით აღზარდე, თავისუფლებით გაუშვი“.** სწავლა დაკვირვებით და მიბაძვით. ეს არის ამ ბაღის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამიტომ, მშობლებსა და აღმზრდელებს აქვთ განსაკუთრებული ფუნქცია. ასევე ყურადღება გამახვილებულია მუსიკალურ და შემოქმედებით განვითარებაზე, მიზანმიმართულ მოქმედებებზე, სოციალურ უნარებზე და სხვა.

3. ბაღი სათამაშოების გარეშე: მიზანია მათი წარმოსახვისა და კრეატიულობის სტიმულირება. ეს საშუალებას მისცემთ, იგრძნონ საკუთარი საჭიროებები. ბავშვებს ასევე ეძლევათ საშუალება, სახლიდან მოიტანონ სათამაშო მასალა. აღმზრდელებს სურთ, რაც შეიძლება ნაკლები მითითებები მისცენ. ბავშვები სათამაშოების გარეშე დღის რაღაც მონაკვეთში არიან. სათამაშოები სრულად არ არის აკრძალული.

4. საბავშვო ბაღი ტყეში: აქ არ არის თოჯინები, სათამაშო ფიგურები და სხვა. ბავშვები თამაშობენ იმით, რასაც ბუნება სთავაზობს: ტალახს, ხოჭოებს, ქვებს, ჯოხებს და სხვა. ამით ბუნებასთან დაახლოვებას ხელი ეწყობა. მუდმივი მოძრაობით და დიდი ხნით ბუნებაში ყოფნით ხელი ეწყობა იმუნური სისტემის გაძლიერებას. რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული წესები, რომლებიც უნდა დაიცვან, რომ არავინ დაშავდეს ან დაიკარგოს.

5. ინტეგრირებული ბაღი: ამ ტიპის საბავშვო ბაღის იდეა ეფუძნება ცოდნას, რომ ყველა ბავშვს შეუძლია ისწავლოს ერთმანეთისგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა შშმპ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინტეგრაცია წარმოადგენს მიკუთვნებულობის გრძნობას და ასევე აძლიერებს თავდაჯერებულობას. არა შშმ ბავშვებისთვის ეს ნიშნავს განსხვავებული ადამიანების მიმღებლობის ზრდას. სოციალური ცნობიერება ასევე სარგებლობს ამ მიდგომით: ბავშვებს უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა „სუსტების“ მიმართ და ეხმარებიან მათ იმაში, რაც მათ უფრო სწრაფად ისწავლეს. მსგავსი ბაღები მხოლოდ თბილისში, ბათუმსა და მესტიაში მოვიძიე, მაგრამ სხვა რეგიონში წასვლაზე არ ვფიქრობთ. იმედი მაქვს, დედოფლისწყაროშიც არიან მშობლები, რომლებიც ჩვენსავით გამოსავალს ეძებენ. მოხარული ვიქნებით, თუკი გამოჩნდებიან სხვა მშობლებიც იგივე სურვილებით. მჯერა, ერთად შევძლებთ ჩვენი შვილებისთვის ალტერნატივის შექმნას.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის ახალი პროექტი იწყება

„საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად, ახალ პროექტს „ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის" იწყებს, რომლის მიზანი საქართველოს მასშტაბით, აგროტურიზმში ჩართული ქალების გაძლიერებაა.

ორწლიანი პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მაშტაბით მოხდება აგროსექტორში/აგროტურიზმში ჩართული ასი მეწარმე ქალის იდენტიფიცირება, რომლებიც ტრენინგების მეშვეობით გაიუმჯობესებენ მეწარმეობის უნარ-ჩვევებს სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით და მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას.

პროექტის ფარგლებში მოხდება აგროტურიზმის საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის პროცესში ჩართულობა. ასევე, აგროტურისტული ობიექტებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების პროცესის სტიმულირება, აგროტურისტული ობიექტების ციფრული რუკის შექმნა და აგროტურისტულ ასოციაციებში, მეწარმეების გაწევრიანების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შედეგად ქალ ბენეფიციარებს ექნებათ შესაძლებლობა გაზარდონ შემოსავლის წყარო, აგროტურისტული საქმიანობით. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მათი ცნობადობა გაიზრდება და დამატებით, შეიძენენ და განავითარებენ, კავშირების დასამყარებლად საჭირო უნარ-ჩვევებს.

პროექტი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერაა დაფინანსებული და მას გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით ახორციელებს", - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 08.11	სამშაბათი 09.11	ოთხშაბათი 10.11	ხუთშაბათი 11.11	პარასკევი 12.11	შაბათი 13.11	კვირა 14.11
დღე	14°	14°	16°	7°	9°	12°	11°
ღამე	3°	5°	4°	2°	1°	2°	2°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591 97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.